ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

15 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“ + საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია – ტომი 1
8 ლარი




პარასკევი, 19 ოქტომბერი, 2012 | №249 (5939) | ფასი: 30 თეთრი

# გაჟონა თუ არა პარლამენტში გაზმა



## ახალარჩეული დეპუტატების სიცოცხლე საფრთხეშია

გვ.2

## ქიბარ ხალვაში „რუსთავი 2-ის“ დაბრუნებას ითხოვს

გვ.2



## ასანიძე „ქართულ ოცნებას“ ფედერაციებზე ზეწოლაში ადანაშაულებს

გვ.3





შოთა ხაბარელი ბრალდებებს უარყოფს



## აპატურაი გვპირდება, რომ ნატოში შევალთ

გვ.4

## ლაშა ამირეჯიბი: „ივანიშვილთან ხალხს ხუხაშვილი არ უშვებდა“

გვ.6



## თამაზ მოლაშვილი შვილის სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანას მოითხოვს

გვ.2

## მიხეილ სააკაშვილმა ოჯახის დაცვა გააძლიერა

გვ.3



## დავით სერგეენკო: „პენსია საარსებო მინიმუმს დაუახლოვდება“

გვ.6



## ირმა ინაშვილი: „ბედუკაძეს საფრთხე ემუქრება“

გვ.7

ISSN 1987-9385

4 ივანიშვილი ბრიუსელში მიიწვიეს

3 ირაკლი სესიაშვილი: „სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადა შესაძლოა, შემცირდეს“

4 ბათუმში ჭაჭის კოშკი გაიხსნა

6 ყოლბაია სოციალურ ქსელებში მისი პიროვნების გარშემო შექმნილ მითქმა-მოთქმას ეხმაურება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქიბარ ხალვაში „რუსთავი 2-ის“ დაბრუნებას ითხოვს

ნათია ხურცილავა



ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა პრესკონფერენცია გამართა და ხალვაშის ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.

ქიბარ ხალვაშის სახელთან დაკავშირებული კომპანიები – „არტი“, „პრიზა“, „ინტერნეიშენელ ბილდინგ კომპანი“ და „ლივო გრუპი“ ქონების დაბრუნების მოთხოვნით მთავარ პროკურატურას მიმართავენ.

როგორც ხალვაშის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა პაატა სალიამ „ინტერპრესნიუსის“ ოფისში გუშინ გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა, უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების იმედი მათ 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგებმა გაუჩინა.

მისივე განმარტებით, ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებული დავები მას შემდეგ დაიწყება, რაც შემუშავდება საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

– ქიბარ ხალვაშის სახელთან დაკავშირებული კომპანიები – „არტი“, „პრიზა“, „ინტერნეიშენელ ბილდინგ კომპანი“, „ლივო გრუპი“ სამართლებრივი გზებით ბრძოლას განაგრძობენ. ამ ეტაპზე ამ კომპანიების განცხადებები განიხილება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, თუმცა, ჯერ საბოლოო გადაწყვეტილებები მიღებული არ არის. დაუსრულებელია სისხლის სამართლის საქმეები ქიბარ ხალვაშისა და მისი პარტნიორების წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ კიდევ 2007 წელს აღიძრა. 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა შექმნა ახალი რეალობა, რომელშიც შესაძლებელი იქნება, სამართლიანი სასამართლოს პირობებში გადაიხედოს პოლიტიკურად მოტივირებული უკანონო გადაწყვეტილებები, რომლებიც საქართველოს სასამართლოებმა მიიღეს და რომელთა საფუძველზეც წარმატებულ კომპანიებს სრულად ჩამოერთვათ ქონება და აღარ მიეცათ ბიზნესსაქმიანობის გაგრძელების საშუალება. ახლად არჩეული პარლამენტის უმრავლესობის ლიდერთა განცხადებით, უახლოეს მომავალში შემუშავდება საკანონმდებლო ბაზა, რაც უზრუნველყოფს უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნული კომპანიები პარლამენტის მიერ შესაბამისი კანონების მიღებისთანავე მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს და მოითხოვენ უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას, – განაცხადა პაატა სალიამ.

მისივე განმარტებით, დაგეგმილია საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის მიმართვა ქიბარ ხალვაშისა და მისი პარტნიორების, აგრეთვე მათი კომპანიების წინააღმდეგ კონკრეტული თანამდებობის პირების მიერ განხორციელებული ქმედებების დეტალური აღწერითა და დასაბუთებით.

რაც შეეხება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ წილებს, პაატა სალიას განმარტებით, ამ საკითხზე კომენტარს თავად ქიბარ ხალვაში გააკეთებს.

– მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ტელეკომპანიების წილებში თავის დროზე ქიბარ ხალვაშმა შესაბამისი ფასები გადაიხადა, – აღნიშნა სალიამ.

„ინტერნეიშენელ ბილდინგ კომპანი“-ს დირექტორმა მალხაზ ოსაძემ კი კომპანიისა და მასთან ერთად „5 ათასი სამუშაო ადგილის განადგურებაში“ ბაჩო ახალაია და დავით კეზერაშვილი დაადანაშაულა.

მისი განმარტებით, „არტის“ შენობა ბაჩო ახალაიას უშუალო ბრძანებით დაიწვა.

„არტის“ დაწვამდე ორი დღით ადრე ბაჩო ახალაიამ მომთხოვა, ქიბარ ხალვაშის საქართველოში ჩამოსვლის აუცილებლობაში დამერწმუნებინა, თორემ საკუთარ ძალას მაჩვენებდა. მე ამაზე უარი ვუთხარი, რის შემდეგაც ორ დღეში „არტი“ დაიწვა“, – განაცხადა ოსაძემ და აღნიშნა, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რათა დამნაშავე პირებმა კანონის მთელი სიმკაცრით აგონ პასუხი.

# თამაზ მოლაშვილი შვილის სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანას მოითხოვს

თამაზ მოლაშვილი, „უფლებადამცველთა გაერთიანება“ და ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი თორნიკე მოლაშვილის სასწრაფოდ სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანას მოითხოვენ.



როგორც თამაზ მოლაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თორნიკე მოლაშვილს აქვს მწვავე ართრიტი და საჭიროებს სასწრაფო ოპერაციას, რისი ჩატარებაც ციხის საავადმყოფოში შეუძლებელია.

გარდა ამისა, თამაზ მოლაშვილის მიმართავს ახალ ხელისუფლებას და სთხოვენ, დაჩქარებული წესით მოხდეს თორნიკე მოლაშვილის საქმის გადახედვა, რადგან იგი არის უკანონო პატიმარია. გუშინვე თამაზ მოლაშვილმა თორნიკე მოლაშვილის დაკავების დეტალები გაიხსენა.

მისი თქმით, სანამ თორნიკე მოლაშვილს დააკავებდნენ, მასთან მიმდინარეობდა აქტიური მოლაპარაკებები და ვანო მერაბიშვილი სთავაზობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობას.

როგორც თამაზ მოლაშვილი განმარტავს, შუამავალი თავიდან იყო გურამ დონაძე, ხოლო მაშინ, როდესაც თორნიკე მოლაშვილს უკვე ხელი უნდა მოეწერა სამსახურში დანიშვნის ხელშეკრულებაზე, მერაბიშვილმა მას უთხრა, რომ სამსახურში დანიშვნის სა-



ნაცვლოდ, სულხან მოლაშვილს სტრასბურგში შეტანილი საჩივარი უნდა გამოეტანა, რაზეც უარი მიიღო.

როგორც თამაზ მოლაშვილი ამბობს, მისი შვილი სწორედ ამ ფაქტის შემდეგ დააკავეს და მანქანაში ნარკოტიკები ჩაუდეს.

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის ძმა, თორნიკე მოლაშვილი 2011 წლის 21 ივნისს დააკავეს. მას მისჯილი აქვს 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

როგორც თამაზ მოლაშვილი განმარტავს, მისი შვილის დაკავების შემდეგ, ზურაბ ადეიშვილმა

შუამავალი გაუგზავნა, რომელიც მოლაშვილების ოჯახს სთავაზობდა, რომ როგორც კი ისინი გამოიტანდნენ სტრასბურგის სასამართლოდან საჩივარს, თორნიკე მოლაშვილს პატიმრობიდან გაათავისუფლებდნენ.

ინტერპრესნიუსი

# გაჟონა თუ არა პარლამენტში გაზმა

თეა მარხვაიძე

21 ოქტომბერს ახლადარჩეული პარლამენტი შეიკრიბება. ახალი დეპუტატები ერთმანეთის უფლებამოსილებას ცნობენ და კიდევ რამდენიმე საკითხს განიხილავენ. და თუ რამე არ შეიცვალა, შესაძლოა, ეს სხდომა ფატალური შედეგით დასრულდეს. მთელმა საქართველომ იცის, რომ ქუთაისის პარლამენტის შენობაში შესვლა და მუშაობა სახიფათოა.

ნაციონალურმა ხელისუფლებამ საკანონმდებლო ორგანო თბილისიდან ქუთაისში გადაიტანა. შენობის მშენებლობაც დაჩქარებული ტემპებით დაიწყეს, თუმცა „დამკაში“ გასვლას ვერ მოახერხეს. ახალი პარლამენტის დასრულებას კიდევ რამდენიმე თვე დასჭირდება. პირველი სხდომა კი რამდენიმე დღეში უნდა გაიმართოს, თუ, რასაკვირველია, კარგი ამინდი იქნება. შენობას მინის სახურავი აქვს, წვიმა ჩადის და კვირას წვიმიანი ამინდი რომ გამოვიდეს, კანონმდებლები დაგვისველდებიან.



ახალარჩეული დეპუტატების სიცოცხლე საფრთხეშია

მარტო წვიმა რომ იყოს პრობლემა, რა უჭირდა. ჩვენი დეპუტატები აქციების დროს წვიმაში დგომას მიჩვეული არიან. შესაბამისად, პარლამენტშიც აიტანდნენ დასველებას. მაგრამ საკანონმდებლო ორგანოს გაცილებით სერიოზული პრობლემები აქვს.

ჯერაც მოუწყობელია პარლამენტის ეზო. წვიმიანი ამინდის შემთხვევაში იქ კანონმდებლებს შესვლა რეზინის ჩექმებით ან კალოშებით მოუწევთ. შენობაში შესულებმა კი თავზე ჩაფხუტები უნდა დაიხურონ. როგორც აპარატის თანამშრომლები ამბობენ, რაღაცები ცვივა. რაღაცებისგან კი არავინ არის დაზღვეული.

ამ პარლამენტში, როგორც ჩანს, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. გუშინ პარლამენტის შენობაში გაზი გაუშვეს. ამ დროს შენობაში აპარატის თანამშრომლები იმყოფებოდნენ. ისინი პანიკაში ჩაცვივდნენ და იქაურობა დატოვეს.

ინფორმაცია პარლამენტში გაზის გაშვების შესახებ თავიდან აპარატის თანამშრომლებმა გაავრცელეს. მოგვიანებით ეს ოფიციალურადაც დადასტურდა, მაგრამ ცოტა ხანში უარყვეს. პარლამენტის აპარატის თანამშრომლები კი ამტკიცებენ, რომ გაზმა გაჟონა.

ამიტომ, ურიგო არ იქნება, თუ კვირას დეპუტატები პარლამენტში კალოშებთან და ქოლგებთან ერთად პირბადეებსა და აირწინაღებსაც გაიყოლებენ.

ვრცელდება ჭორები, რომ ნაციონალებს არ სურთ 21 ოქტომბრის სხდომის ჩატარება. ამბობენ, რომ ამისთვის ყველაფერს გააკეთებენ. წესით და რიგით, იმ შენობაში შესვლა არ შეიძლება, მაგრამ კონსტიტუციით სხდომა აქ უნდა ჩატარდეს. ნაციონალებს ძალიანაც არ მოსწონთ ამ შემადგენლობის პარლამენტი. ვერც შენობის დასრულება ხერხდება. ამიტომაც ვრცელდება ჭორები, რომ ვიღაცებს სხდომის ჩაშლა სურთ.

პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატი დავით უსუფაშვილი გვპირდება, რომ 21 ოქტომბერს სხდომა აუცილებლად ჩატარდება.

– პარლამენტის ახალ შენობაში არსებული საყოფაცხოვრებო, სამშენებლო და ტექნიკური პრობლემები მოსახლეობისთვის მიცემული დანაპირების შესრულებაში ხელს ვერ შეგვიშლის, ქუთაისში განთავსებულ ახალ შენობაში არსებული რთული პირობების მიუხედავად, კვირას აუცილებლად ჩატარდება სხდომა, მიუხედავად იმისა, რომ იქ რთული პირობებია. ამ სირთულეებს პარლამენტის აპარატთან ერთად ვართმევთ თავს. აპარატის თანამშრომლები რთულ პირობებში მუშაობენ, თუმცა თავიანთ საქმეს მაინც აკეთებენ. ჩვენ ყველანაირად მზად ვიქნებით, რომ პარლამენტი, როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, დროულად შეიკრიბოს და საჭირო გადაწყვეტილებები მიიღოს. საყოფაცხოვრებო, სამშენებლო და ტექნიკური პრობლემები, რომლებიც იქ არსებობს, რეფორმებისა და დანაპირების განხორციელებაში ხელს ვერ შეგვიშლის, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

ის, სხვა მეოცნებეების მსგავსად, დარწმუნებულია, რომ ძალიან მალე პარლამენტი თბილისში დაბრუნდება. ნაციონალები იფიცებიან, ჩვენგან ამას არავინ დათანხმდებაო. თანახმანიც რომ იყვნენ, საინტერესოა, სად უნდა იმუშაონ თბილისში კანონმდებლებმა. თბილისის პარლამენტი დალეწილია.

ზაფხულში ვიღაცის მოთხოვნით მთელი შენობა დაიცალა. სექტემბერში კი სხდომათა დარბაზი დაშალეს. უფრო სწორად, დაარბიეს. ასევე დარბეულია პირველი რესპუბლიკისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზები. იმედია, ახალი ხელისუფლება გაარკვევს, ვისი მოთხოვნით მოხდა ეს დარბევა. გასარკვევია ისიც, ვინ შეასრულა ეს დავალება. ქვეყანას იმდენი ზონდერი ჰყავს, მუშახელის მოძებნა არ გაჭირდებოდა.

მეოცნებეებს იმის გარკვევაც მოუწევთ, რა მიზანს ემსახურებოდა დარბაზების დალეწვა. ამბობენ, რომ შენობის გაყიდვა იგეგმებოდა. ეს მართლაც ჰქონდათ გუმანში, მაგრამ არც ეს ამართლებს დარბევას.

როგორც უკვე ვთქვით, პარლამენტის დაცლა ივლისში დაიწყო. აპარატურა და ავეჯი სადღაც წაიღეს. პარლამენტის თანამშრომლები და დეპუტატებიც ამბობდნენ, რომ ვიღაცებმა ძვირადღირებული ტექნიკა სახლებში წაიღეს.

ოფიციალური ინფორმაციით კი პარლამენტის ბალანსზე არსებული ქონება სხვადასხვა სტრუქტურებსა და თვითმმართველობებს გადაეცათ. ამ ქონების ნაწილი სახელმწიფო კანცელარიის ეზოში ყრია და ნადგურდება.

გასხვისებულ ქონებასთან დაკავშირებით გუშინ საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა „ინტერპრესნიუსმა“.

– მოძრავი ქონება, რომელსაც პარლამენტი განკარგავდა და საკმაოდ სოლიდური ღირებულების არის, ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცათ, თუმცა გატანილ ქონებასთან დაკავშირებით სათანადო დოკუმენტაციის შედგენა ახლა მიმდინარეობს და საბუთები უკანა რიცხვით თარიღდება, – ამის შესახებ სააგენტოს ინფორმირებულმა წყარომ აცნობა.

– უკანა რიცხვით ხორციელდება საბუთების შედგენა, რომ პარლამენტს ავეჯისა თუ სხვა საყოფაცხოვრებო ინვენტარის გადაცემა გამგეობებმა სთხოვეს. პარლამენტიდან გატანილი ქონება დოკუმენტურად სწორედ ახლა აღირიცხება და გადაცემასთან დაკავშირებული შესაბამისი საბუთები ახლა დგება, თან ყველა ასეთი საბუთი უკანა რიცხვით არის დათარიღებული, – აცნობეს „ინტერპრესნიუსს“ ანონიმურად პარლამენტის აპარატიდან.

პარლამენტის შენობიდან გატანილ ქონებასთან დაკავშირებით ოფიციალური მონაცემები არ არსებობს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააგენტომ თავდაპირველად სწორედ პარლამენტის აპარატის უკვე ყოფილ ხელმძღვანელ დავით ჯანიაშვილთან დაკავშირება სცადა, თუმცა ის სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. პარლამენტის მიერ ქონების თვითმმართველობებზე გადაცემის შესახებ ინფორმირებული არიან ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, რომელიც მოძრავ ქონებას განკარგავს, თუმცა, რამდენად კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად განახორციელა უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ეს პროცესი, ამის თაობაზე სააგენტოში ვერაფერს ამბობენ.

– ჩემი ინფორმაციით, პარლამენტმა ქონების რაღაც ნაწილი თვითმმართველობებზე გადაანაწილა, რაც ჩვენ გარეშე მოხდა, ხოლო ჩვენთან საუბარია ქონების დარჩენილი ნაწილის გადმობარებაზე. ჯერ ჩვენ არანაირი ქონება არ მიგვიღია და ამიტომ, როდესაც გადმოვიბარებთ, აღრიცხვაც მაშინ მოხდება, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა ქეთევან კიკნაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხეილ სააკაშვილმა ოჯახის დაცვა გააძლიერა

თეა მარწვაიძე

არჩევნების შემდეგ, 16 ოქტომბერს, მიხეილ სააკაშვილმა პირველად დატოვა საქართველო. ადეიშვილისა და შაშკინისგან განსხვავებით, პრეზიდენტმა ევროპის სახალხო პარტიის კონგრესში მიიღო მონაწილეობა. ეს ღონისძიება ბუქარესტში გაიმართა.

ჩვენმა პრეზიდენტმა უნგრეთის პრეზიდენტი და პრემიერიც მოინახულა. უნგრეთის პრემიერი ჩვენი პრეზიდენტით აღფრთოვანებული იყო. ის საქართველოს არჩევნებამდე ცოტა ხნის წინ ესტუმრა. მან მოგვმართა და გვთხოვა, მხარი სააკაშვილისთვის დაგვეჭირა.

იმ დროს, როცა სააკაშვილი ბუქარესტში ენამზეობდა, საქართველოში საინტერესო ამბავი გავიგეთ. ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები ძლიერდება და ამ მიმართულებით „საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბრძანებულებაში რიგი ცვლილებები შედის.

პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების პერსონალუ-



რი უსაფრთხოების ღონისძიებების ოპერატიულ უზრუნველყოფას მათ მუდმივ და დროებით სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებზე, აგრეთვე გადაადგილების მარშრუტებსა და მონახულების ობიექტებზე, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს პრეზიდენტის, მისი ოჯახის წევრებისა და შესაბამისი ობიექტების მიმართ შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებების პროფილაქტიკის, ადრეულ ეტაპზე გამოვლენისა და დროული რეაგირების მიზნით ოპერატიული დეპარტამენტი განახორციელებს. მისი კომპეტენცია ხდება დეპარტამენტში შესული ოპერატიული ინფორმაციის ანალიზი და სისტემატიზაცია, ოპერატიული ვითარების პროგნოზირება, დაცვითი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად საჭირო სხვა ოპერატიულ ღონისძიებათა განხორციელება.

ამასთან, უფლამოსილებები უფართოვდება ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტს, რომლის ძირითად ამოცანებს შორის განისაზღვრება: სამსახურის დასაცავ პირებთან და დასაცავ ობიექტებზე, მოთხოვნის შემთხვევაში, ინფორმაციის გაჟონვის ტექნიკური საშუალებებისა და მოწყობილობების გამოვლენის, აღკვეთისა და პროფილაქტიკის უზრუნველყოფა; დასაცავი ობიექტების, აგრეთვე დასაცავი პირების მონახულების ობიექტებისა და გადაადგილების მარშრუტების დათვალიერება ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მოწყობილობების აღმოჩენის მიზნით; კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით; სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების ღია და დახურული რადიოკავშირებით უზრუნველყოფა; სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების საერთო მოხმარების საკაბელო-სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფა, თავისი კომპე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ასანიძე „ქართულ ოცნებას“ ფედერაციებზე ზეწოლაში ადანაშაულებს

თეა მარწვაიძე

მიმდინარე წლის 20 დეკემბერს საქართველოში ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება. მანამდე კი, როგორც ამბობენ, სპორტული ფედერაციების პრეზიდენტები შეიცვლებიან. ეს თანამდებობები კი რატომღაც ნაციონალებს ეკავათ. როგორც თემურ შაშიაშვილი იტყოდა, ბადმინტონის ფედერაციის პრეზიდენტიც კი ნაციონალიაო.

როგორ ხდებოდნენ ნაციონალები ფედერაციის პრეზიდენტები ამ წლების განმავლობაში, კარგად გვახსოვს. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ზოგიერთ ფედერაციას სათავეში ზონდერბრიგადირები ჩაუდგნენ.

ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძე, დეპუტატობამდე ერთ-ერთი ჩვეულებრივი ზონდერი ყოფილა. ეს ვარდების რევოლუციის პერიოდში ხდებოდა. მერე ის დეპუატატი გახდა და აღარ უზონდერია. თუმცა ამბობენ, რომ მოჭიდავეებზე ზეწოლას ახორციელებდა. მათგან მოითხოვდა, რომ ნაციონალების მხარდამჭერები ყოფილიყვნენ. წლევანდელი არჩევნებისთვის კი ყველა მოჭიდავეს მოსთხოვა, თქვენს ახლობლებში პარტიას 5-5 ხმა შეუგროვეთო. ასეთი მოთხოვნები მას არც ლონდონის ოლიმპიადის მიმდინარეობის დროს შეუწყვეტია.

გაცილებით მაღალი კლასის ზონდერად არის მიჩნეული ტყვიის სროლის ფედერაციის პრეზიდენტი გია უდესიანი, რომელმაც არჩევნების შემდეგ საქართველო დატოვა. უდესიანის სახელი ზონდერ-ჯგუფების ფორმირებას უკავშირდება. ამ ინფორმაციას თავად უდესიანი არ ადასტურებს.

ზონდერებზე საუბარი შორს წაგვიყვანს და ისევ უბედურ ქართულ სპორტს მივხედოთ, რომელიც ასე მწარედ არის პოლიტიზებული. ნაციონალები სპორტული ფედერაციის საქმიანობაში უხეშად რომ ერეოდნენ, ეს ყველაზე უკეთ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების დროს გამოჩნდა. მაშინ კენჭს ნაციონალი გიორგი ნემსაძე და ნოდარ ახალკაცი უმცროსი იყრიდნენ. ეს უკანასკნელი ბოკერიას გუნდის მხარდაჭერით სარგებლობდა. ნემსაძეს კი კირკიტაძის გუნდი ლობირებდა. გამარჯვება ნემსაძეს დარჩა, მაგრამ მან მხოლოდ 45 წუთი იპრეზიდენტა. ის კანცელარიაში დაიბარეს და თანამდებობაზე უარი ათქმევინეს.



შოთა ხაბარელი ბრალდებებს უარყოფს

ფედერაციების პრეზიდენტებს 4 წელიწადში ერთხელ ირჩევენ. მთელ რიგ ფედერაციებს ახალი პრეზიდენტების არჩევა მოუწევთ. ძველებს ვადა გასდით. ამ პოსტებზე, როგორც ამბობენ, ნაციონალებს აღარავინ აირჩევს.

ეს კარგად მოეხსენება გიორგი ასანიძესაც, რომელიც ნაციონალებმა ორჯერ გაიყვანეს დეპუტატად. 2008-2012 წლების მოწვევის პარლამენტში მას სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი ეკავა. მის კომიტეტზე არცერთხელ არ მომხდარა ამ საკითხების განხილვა. ასანიძეს არცერთხელ არ უთქვამს, რომ ნაციონალები სპორტულ ფედერაციებზე ზეწოლას ახორციელებდნენ.

სამაგიეროდ ახლა ალაპარაკდა. ოღონდ არა ნაციონალების ზეწოლაზე. ასანიძე „ქართული ოცნების“ მხრიდან განხორციელებულ ზეწოლებს უჩივის.

როგორც ინტერნეტგამოცემა „ინტერნეტ.ჯი“-ს ასანიძემ განუცხადა, ფედერაციებში ზეწოლა მიდის და ახალი ძალის სახელით არის მოთხოვნა, რომ „ასეთი რაღაცები“ უნდა მოხდეს.

– ანუ, ყველა უნდა წავიდეს და ახალი მოვიდეს. ცუდი ფაქტი რა არის, იცით? ამ ადამიანის მოსვლით ქვეყნის უკეთესობისკენ სვლის გარკვეული იმედი გაჩნდა, მაგრამ ბევრი ადამიანი მისი სახელით ცუდად სარგებლობს, რადგან გარკვეულ ფედერაციაში ფარულად თუ ღიად რაღაცები შეინიშნება და ამას, როცა ახალი ხელმძღვანელობა გაიგებს, მკაცრი რეაგირება უნდა მოახდინონ, – აცხადებს ყოფილი დეპუტატი.

საინტერესოა, რატომ არ ითხოვდა ნაციონალებისგან ასანიძე, მკაცრი რეაგირება მოეხდინათ ზეწოლებზე.



რატომ არ ამოიღო ხმა, როცა 2007 წლის ოქტომბერში ნაციონალმა დეპუტატებმა ლამის შტურმით აიღეს ოლიმპიური კომიტეტის შენობა. იქ კი იმიტომ შეიჭრნენ, რომ ბადრი პატარკაციშვილი პრეზიდენტის პოსტიდან გადაეყენებინათ. არადა, ამ ადამიანს დიდი ამაგი ჰქონდა ქართულ სპორტზე. ნაციონალებმა მას ოპოზიციაში გადასვლა ვერ აპატიეს.

ასანიძეს მაშინ ეს ფაქტი არ გაუპროტესტებია. უბრალოდ თქვა, რომ მას არ სურდა, ოლიგარქს თავისი ბინძური ფული ქართულ სპორტში ჩაედო. არადა, როცა 2004 წელს შტანგა აწია და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, პატარკაციშვილმა მას 400-ათასიანი პრემია გადასცა. 2007 წელს გიორგის ეს ბინძური ფული არ დაუბრუნებია.

ამბობენ, რომ ასანიძე მაშინ ბიძინა ივანიშვილმა 1 მილიონი ევროთი დააჯილდოვა. გიორგი იმ წლებში ივანიშვილზე მხოლოდ კარგს ლაპარაკობდა. მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა პოლიტიკა აირჩია, ასანიძე მასზე აღარ საუბრობს. ცდილობს, არც ცუდი თქვას და არც კარგი.

ასანიძე დარწმუნებულია, რომ ეს ზეწოლა ივანიშვილისგან არ მოდის, რადგან მას უნდა, რომ სამართლებრივი პრინციპები დაინერგოს და ამას ბევრი ცუდად იყენებს.

მისი თქმით, მას ივანიშვილთან დაკავშირების მცდელობაც ჰქონდა, მაგრამ „მავანებმა“ დაბლოკეს.

ვინ დაბლოკა, ამას დეპუტატი არ ამხელს. არადა საოცარია, როგორ ვერ მოახერხა ივანიშვილთან შეხვედრა. ეს ადამიანი ყველას უსმენს, გოგი თოფაძესაც კი. ეტყობა ასანიძე სათანადოდ არ გაისარჯა.

მის მსგავსად ფედერაციებზე ზეწოლას უჩივიან სხვა ნაციონალებიც. ამის ნათელ მაგალითად 3 ოქტომბერს მომხდარი ამბავი მოჰყავთ. 3 ოქტომბერს ნაცმოძი ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევას აპირებდა. შეიკრიბნენ კიდევაც. მაგრამ არჩევნებში გამარჯვებული მეოცნებეები მიუვარდნენ და საქმე გაურჩიეს. უფრო ზუსტად, აუხსნეს, რომ კანონით არჩევნები სხვანაირად უნდა ჩატარებულიყო. არჩევნები 20 დეკემბერს გაიმართება. მანამდე კი ფედერაციების ახალი პრეზიდენტები უნდა აირჩიონ. და რაკი ნაციონალებს ფრთებს აღარ გააშლევინებენ „ასანიძე და კომპანია“ ამას ზეწოლად აფასებენ.

სპორტულ ფედერაციებზე ყოველგვარ ზეწოლას უარყოფს ოლიმპიური ჩემპიონი და კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი შოთა ხაბარელი. ხაბარელს ძალიან გაუკვირდა, როცა ვუთხარით, რომ ამის შესახებ ასანიძემ ისაუბრა.

– ეს გიორგი ასანიძემ თქვა? საოცარია! რა ზეწოლა, რის ზეწოლა. ცოტა ხნის წინ პირადად მე შევხვდი ასანიძეს და ვუთხარი, რამე მხარდაჭერა ხომ არ გჭირდება-მეთქი. არანაირი ზეწოლა არავისზე არ არის. სპორტის შიდა საქმეებში „ქართული ოცნება“ ჩარევას არ აპირებს. ასე ნაციონალები იქცეოდნენ, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში შოთა ხაბარელმა.

ის ადასტურებს ინფორმაციას, რომ რამდენიმე ფედერაციაში პრეზიდენტი უახლოეს მომავალში შეიცვლება.

– აუცილებლად მოხდება ცვლილებები, ოღონდ კანონიერი გზით. იქ, სადაც ახალი პრეზიდენტის არჩევის დრო მოვიდა, არჩევნები ჩატარდება. არჩევანს ფედერაციის წარმომადგენლები გააკეთებენ. „ქართული ოცნება“ ამ პროცესებში არ ჩაერევა, – დებს პირობას ხაბარელი.

შოთა ხაბარელს სოჭის ოლიმპიადის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის გარშემოც ვთხოვეთ კომენტარის გაკეთება. რამდენიმე დღის წინ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ საქართველო 2014 წლის ოლიმპიადაზე აუცილებლად უნდა იასპარეზოს. აგვისტოს ომის შემდეგ საქართველომ გადაწყვიტა, ამ ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადოს.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარის, ზაზა გაბუნიას განცხადებით, სოჭის ოლიმპიადასა და რუსეთ-საქართველოს ომს ერთი და იგივე ორგანიზატორი ჰყავს, ამიტომ საქართველომ ოლიმპიადაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს..

– მიმაჩნია, რომ სოჭის ოლიმპიადასა და რუსეთ-საქართველოს ომს ერთი და იგივე ორგანიზატორი ჰყავს. ამიტომაც ნებისმიერი რიტორიკა იმის თაობაზე, რომ ოლიმპიადა მშვიდობისმყოფელი ფენომენია და ამიტომ ჩვენმა დელეგაციამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, ეს არის ყალბი. ჩვენი დელეგაციის მონაწილეობა ოლიმპიადაში არის უპრინციპო და აზრს მოკლებული. ბოიკოტი – ეს არის აბსოლუტურად ცივილიზებული მეთოდი. ჩვენ უნდა მივმართოთ ამ მეთოდს დღეს, რადგან მონაწილეობა არც მორალური და არც პოლიტიკური თვალსაზრისით არ იქნება სწორი. ეს არ არის ტურნირი, რომელსაც ჰყავს ნეიტრალური არბიტრაჟი და ორგანიზატორი, როგორიცაა „ფიფა“, „უეფა“ და ა.შ. ამ ღონისძიების ორგანიზატორია ვლადიმერ პუტინი. ის ადამიანი, რომელმაც ჩვენი სახელმწიფოსადმი საომარი მოქმედებები დაგეგმა. ეს არ არის რუსოფობიული განცხადება, ჩვენ ყველა ბერკეტი უნდა გამოვიყენოთ, რათა საერთაშორისო საზოგადოებას ვუთხრათ, რომ არ ვეგუებით ოკუპაციას, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ზაზა გაბუნიამ.

მის მოსაზრებას არ ეთანხმება შოთა ხაბარელი. კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მიიჩნევს, რომ ქართველები სოჭში აუცილებლად უნდა ჩავიდნენ.

– მიმაჩნია, რომ საქართველომ სოჭის ოლიმპიადაში აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა. ეს არის დიდი სპორტული ზეიმი. პოლიტიკას ამასთან არანაირი შეხება არ აქვს. ასე თუ ვიმსჯელეთ, მაშინ ქართველებმა რუსეთში მიმდინარე არც ერთ მსოფლიო თუ ევროპის პირველობაზე არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა, – ამბობს ხაბარელი.

ამ საკითხზე ზამთრის სპორტის სახეობების დიდი მოყვარულის გოგო თოფაძისგანაც გვინდოდა კომენტარის ჩაწერა (რომელიც ცოტა ხნის წინ „ქართული ოცნების“ წყალობით დეპუტატი გახდა). მაგრამ როგორც ჩვენი პრეზიდენტი იტყოდა, ნურას უკაცრავად.

– პასუხი არა მაქვს. ამ წუთში ჩამოვედი თბილისში. საკმარისია? – გვიყვირა გოგი თოფაძემ.

თან ისეთი გაბრაზებული იყო, გეგონება, სოჭის ოლიმპიადაზე კი არ ვთხოვეთ კომენტარი, არამედ თავისი ლუდის რეცეპტი ვთხოვეთ. კარგად შეინახეთ ერთიც და მეორეც, ბატონო გოგი!!!

# ვიქტორ დოლიძე უგულავას ჩუღურეთის რაიონში ავარიული სახლის გამაგრებას სთხოვს

თბილისის ჩუღურეთის რაიონში, წმინდა ნიკოლოზის 5 ნომერში მოსახლეობასთან შეხვედრისას „ ქართული ოცნების“ ჩუღურეთის მაჟორიტარობის კანდიდატმა ვიქტორ დოლიძემ თბილისის მერს გიგი უგულავას სატელევიზიო მიმართვა გაუგზავნა.



დოლიძის თქმით, საქმე ეხება ჩუღურეთის რაიონში ნიკოლოზის 5-ში მდებარე ავარიულ სამსართულიან სახლს, რომლის დემონტაჟი 2009 წელს უნდა დაწყებულიყო პროექტ „ ძველი თბილისი– ახალი სიცოცხლის“ ფარგლებში.

ამხანაგობა „მარსს“, რომელსაც თავდებში შ პ ს „ტექს ჯგუფი“ ედგა, ქალაქის მერიასა და მოსახლეობას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე 2011 წლის აგვისტოსთვის ალექსანდრე ყაზბეგის 34 ნომერში მშენებარე ბინებით უნდა დაეკმაყოფილებინა, რომლის მშენებლობისთვის თანხა გამოყოფილი.

„სამი წლის მანძილზე ნახევარიც არ აშენებულა, სადაც ამ ხალხს უნდა ეცხოვრა. არ გავჩერდები, სანამ შედეგს არ მივიღებ. ხალხს ჩვენ ტყუილად არ შევპირებივართ ცვლილებებს, ახლა უბრალოდ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი არაა ქალაქის მერი ,ისევე როგორც გამგეობის თვითმართველობის ორგანოებში, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურს არ ვიბერტყთ მათგან განსხვავებით, ან გაამაგრონ ეს შენობა ან ამ ხალხს პასუხი გასცენ. შენობის ავარიულობის გამო შუქი გაეთიშა ხალხს და წყალიც არ ააქვთ“,– აღნიშნა დოლიძემ.

ჩუღურეთის მაჟორიტარობის კანდიდატი ქალაქის მერიას სთხოვს, 60 ათასი ლარი აღნიშნული შენობის გასამაგრებლად მაინც გამოყოს , თუ მათ დაკმაყოფილებას ყაზბეგის ქუჩის 34 ნომერში აშენებული ბინებით არ აპირებს.

მედიანიუსი

# ირაკლი სესიაშვილი: „სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადა შესაძლოა, შემცირდეს“

სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადა შესაძლოა, 6-დან 8 თვემდე შემცირდეს, – ამის შესახებ ჟურნალისტებს თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატმა ირაკლი სესიაშვილმა განუცხადა.



„მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდება გაწვევასა და სარეზერვო სისტემაში. სავარაუდოდ, გაწვევის ვადა შემცირდება და მოხდება ასევე სარეზერვო სისტემის ძირეული რეფორმირება. დღეს არსებული სისტემა არაეფექტურია და ეს წყალში გადაყრილი ფულია“, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

მისივე თქმით, შესაძლებელია შეიცვალოს გაწვევის ასაკის ქვედა ზღვარიც და ის დაიწყოს 19 წლიდან. სესიაშვილი აცხადებს, რომ მას შემდეგ რაც სწავლა გახდა 12-კლასიანი, აუცილებელია,. სკოლადამთავრებულ მოსწავლეებს უმაღლესში ჩაბარების საშუალება მიეცეთ და უმჯობესი იქნება, გაწვევის ასაკი დაიწყოს 19 წლიდან.

ინტერპრესნიუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აპატურაი გვპირდება, რომ ნატოში შევალთ

ნათია ხურცილავა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, საქართველო არც პოსტსაბჭოთა ქვეყანაა და არც ახალგაზრდა დემოკრატია. ახლა ის ნორმალურად ფუნქციონირებადი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოა.

ეს განცხადება ვაშაძემ სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჯეიმს აპატურაისთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

– ჩვენ ერთხმად ვთქვით, რომ ამ არჩევნების შემდეგ საქართველო არ არის პოსტსაბჭოთა ქვეყანა და არც ახალგაზრდა დემოკრატია. ჩვენ ჩამოვყალიბდით, როგორც ნორმალური ფუნქციონირებადი დემოკრატია და ეს არის საქართველოს მთავარი მიღწევა, რომელიც 2003 წლიდან ჩემი პრეზიდენტის ხელმძღვანელობის პერიოდში განხორციელდა, – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

საქართველოში ვიზიტად მყოფმა ჯეიმს აპატურაიმ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები ბრწყინვალე ტესტია.

– საქართველოსთვის ისტორიული მომენტია, როდესაც ხელისუფლების მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით გადაცემა ხდება, – ამის შესახებ ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაიმ განაცხადა.

აპატურაი ამბობს, რომ ნატო-ში ინტეგრაციის კუთხით საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები ბრწყინვალე ტესტი იყო და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაბარებულია.

აპატურაის განცხადებით, ეს პროცესი დასრულებული არ არის და უნდა გაგრძელდეს. მისი თქმით, ხელისუფლების გადაცემის პროცესს მთელი საერთაშორისო საზოგადოება თვალს ყურადღებით მიადევნებს.

რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს, მისი თქმით, ეს იყო ბრწყინვალე ნიშანი იმის, რომ საქართველო არის ნორმალური ქვეყანა, სადაც არჩევნების გზით იცვლება ხელისუფლება. აპატურაის განცხადებით, ეს არის შედეგი იმ რეფორმების, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა. მისი თქმით, რეფორმების გაგრძელებაში ნატო ახალ მთავრობასაც დაეხმარება.

– ჩვენ გავაგრძელებთ აქტიურ მუშაობას. ახალმა მთავრობამ გააკეთა აქცენტი, რომ მნიშვნელოვანია რეფორმების გაგრძელება და ჩვენ მათ ამ პროცესში დავეხმარებით, – განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.

ჯეიმს აპატურაიმ ასევე ისაუბრა ახალი მთავრობის სამომავლო გეგმების მიმართ დიდ დაინტერესებაზე, თუ როგორია მომავალი ხელისუფლების პრიორიტეტები. მათი პრიორიტეტების შესახებ აპატურაის ბიზნესცენტრში გამართულ შეხვერაზე პირადად ესაუბრა ბიძინა ივანიშვილი.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ირაკლი ალასანია და მაია ფანჯიკიძე.

– ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს აინტერესებს, რა პრიორიტეტები აქვს საქართველოს ახალ მთავრობას, – ამის შესახებ ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაიმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის




შემსრულებელ გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, როგორც მათთვის არის ცნობილი, ახალი მთავრობა აკეთებს აქცენტს როგორც რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე, ასევე ნატოში ინტეგრაციაზე.

– რუსეთს რაც შეეხება, ეს არის რთული საკითხი. ჩვენთვის მთავარია, რომ კარგი ურთიერთობა იყოს ნატო-საქართველოსა და ნატო-რუსეთს შორის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ორივე მიმართულებით შევძლებთ ურთიერთობების დამყარებას, – განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.

მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ეჭვი არავის უნდა შეეპაროს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებაში, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი და ვერავითარი მესამე, ნატო-ს არაწევრი ქვეყანა ამაზე გავლენას ვერ მოახდენს.

– მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი ქვეყანა და ამაზე ვერც ერთი მესამე ძალა გავლენას ვერ მოახდენს. ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ ნატოს წევრი ქვეყნები მიიღებენ და სხვა არავინ. ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება ძალაშია და მასში ეჭვი არავის არ უნდა შეეპაროს, – ამბობს აპატურაი.

ჯეიმს აპატურაიმ შეხვედრები მოქმედი და არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლებთან გუშინ გამართა.

მისი თქმით, საქართველოს წლების განმავლობაში ხშირად სტუმრობს, თუმცა ვიზიტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, რადგან ქვეყანაში ხელისუფლების დემოკრატიული გზით გადაცემა ხდება.

– საქართველომ მსოფლიოს ახალგაზრდა დემოკრატიებს მაგალითი უჩვენა. ველოდები შეხვედრებს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, მომავალ მთავრობასა და ბიძინა ივანიშვილთან. მსურს მოვისმინო ორივე გუნდის გეგმები. ჩემი მთავარი გზავნილი კი იქნება, რომ ნატო საქართველოსთან მუშაობას გააგრძელებს. ალიანსი ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების ერთგული რჩება, რომლის მიხედვითაც საქართველო ნატო-ს წევრი გახდება. ჩვენ ასევე ვაგრძელებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას. ჩატარებული არჩევნები იყო გამოცდა საერთაშორისო საზოგადოების თვალში და საქართველომ ეს გამოცდა ჩააბარა. ქვეყანაში მთავრობა შეიცვალა საარჩევნო ყუთების და არა ქუჩის აქციების საშუალებით. ეს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ქვეყნისთვის და მაგალითია რეგიონში. ამჟამად მთავრობის ცვლილების პერიოდია. ძველი მთავრობა ოპოზიციაში გადადის და ეს ხდება კანონის ფარგლებში და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე. ეს ასევე უნდა გაგრძელდეს მომავალშიც. რამდენიმე დღის წინ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იგივე მოუწოდა მიხეილ სააკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს. მოვლენებს ყველა ყურადღებით ადევნებს თვალს, რათა დარწმუნდნენ, რომ პროცესი ისეთივე წარმატებით გრძელდება, როგორც აქამდე იყო, – აღნიშნა ჯეიმს აპატურაიმ.

ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი იმედოვნებს, რომ საქართველო 2014 წლის შემდეგაც გააგრძელებს თავისი წვლილის შეტანას ავღანეთის მისიაში.

როგორც საქართველოში ვიზიტად მყოფმა ჯეიმს აპატურაიმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ გრიგოლ ვაშაძესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, საქართველო ნატო-ს არაწევრი ქვეყნებიდან ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორია და მნიშვნელოვანია მისი წვლილი აისაფის მისიაში.

აპატურაის განცხადებით, 2014 წელს აისაფის მისიის დასრულების შემდეგ აქცენტი გაკეთდება ავღანეთის ძალების ტრენინგებზე, კონსულტაციებზე და მომზადებაზე და შესაძლოა, საქართველოც იყოს ჩართული ამ პროცესში. თუმცა, მისი თქმით, ეს ეროვნულ დონეზე მისაღები გადაწყვეტილებაა.

– ჩვენ არც კი გვინდა, რაიმე დავგეგმოთ ისე, რომ საქართველო არ იყოს ჩართული. საქართველოს, ალბათ, ექნება სურვილი, რომ 2014 წლის შემდეგაც შეიტანოს თავისი წვლილი ავღანეთის მისიაში და ეს წვლილი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, – განაცხადა აპატურაიმ.

# მიხეილ სააკაშვილმა ოჯახის დაცვა გააძლიერა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ტენციის ფარგლებში; სამსახურის კუთვნილი კავშირის სისტემებისა და საშუალებების ექსპლუატაციის, აგრეთვე მათი ფუნქციონირების ხარისხის გასაუმჯობესებელი სამუშაოების უზრუნველყოფა; სამსახურის კინოლოგიური ბაზის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

რაც შეეხება ბუქარესტში გამართულ ღონისძიებას, მას სააკაშვილმა მნიშვნელოვანი უწოდა.

– ეს ძალზე მნიშვნელოვანი სესია იყო საქართველოსთვისაც. ევროპის უმეტესი ქვეყნების წარმომადგენლებმა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები დადებითად შეაფასეს, თუმცა ევროპა ამ პროცესის გაგრძელებას ელოდება, რასაც საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ქვეყნის პირველმა პირმა ყურადღება ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსის განმტკიცების თაობაზე გაამახვილა და ახალ მთავრობას კონსტრუქციული თანამშრომლობისკენ მოუწოდა. ჩვენი ქვეყანა ძალიან რთულ ეტაპზე გადადის, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაგრძელება. დეკემბერში ნატო-ს მინისტერიალი გაიმართება. თუ ჩვენ ახალ მთავრობასთან ერთად ვიმუშავებთ, ამ არჩევნებზე დაყრდნობით, გვაქვს შანსი, რომ ნატო-ში გაწევრიანების გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯით წავიწიოთ წინ. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ არჩევნები იქნებოდა მთავარი ტესტი, ახლა კი, კოორდინირებული მუშაობის პირობებში – ჩვენ მზად ვართ, რომ ამ პროცესში ყველა დონეზე ჩავერთოთ და ახალ პრემიერ-მინისტრთან ერთად, საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად, ზოგადად, მთავრობასთან ერთად, შესაძლებლობების ეს ფანჯარა გამოვიყენოთ. ჩვენ ძალიან დიდი გამოცდილებაც გვაქვს და ძალიან დიდი ნდობაც. თუ ახლა სწორად ვიმოქმედებთ და ყურადღებას კონსტრუქციულ ნაწილზე გავამახვილებთ, მიუხედავად ყველა სირთულისა, რაც გარდაუვალია, შევძლებთ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ეს მნიშვნელოვანი ეტაპი ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის თვალსაზრისით, პროგრესისთვის გამოვიყენოთ. ევროკომისიის პრეზიდენტთან ჟოზე მანუელ ბაროზოსთან შეხვედრის შემდეგ მთავარი შანსი, რომელიც ახლა გვეძლევა, არის ის, რომ უკვე მომავალ წელს მივილოთ უვიზო მიმოსვლა, თავისუფალი ვაჭრობა ევროპასთან და გავაფორმოთ ასოცირების ხელშეკრულება, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის დაკარგვა, რასაც ბოლო რვა წლის განმავლობაში საქართველომ მიაღწია.

– არ უნდა დაიკარგოს ის, რასაც ვაშენებდით, დავიმსახურეთ ევროპული ინსტიტუტების ნდობა და გავზარდეთ ძალიან კარგი დიპლომატები, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობდნენ. საქართველოს რეფორმირების პროცესმა მოგვიტანა დღევანდელი შედეგი და ერთი ნაბიჯილა გვაშორებს იმას, რომ ყველა ჩვენს მოქალაქეს შეეძლოს ევროპაში ქართული პასპორტით დაუბრკოლებლად, უვიზოდ შესვლა,

ყველა ჩვენი პროდუქტის უპრობლემოდ, ბაჟის გარეშე გატანა და თავი ვიგრძნოთ ევროპის თითქმის სრულფასოვან ნაწილად, ამ სტრუქტურების მონაწილეებად. მართალია, ჯერ ევროკავშირის წევრი არ ვიქნებით, მაგრამ შემდეგი თვეების განმავლობაში საქართველოს დიდი „ლუპით“ დააკვირდებიან, – ამბობს საქართველოს პრეზიდენტი.

# ბათუმში ჭაჭის კოშკი გაიხსნა

ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩაზე, ახალი პარკის შესასვლელთან ჭაჭის კოშკი გაიხსნა. გუშინ, 19:00 საათზე ახალ პარკში მიმსვლელებს ჭაჭის არაყის უფასოდ დალევის შესაძლებლობა ჰქონდათ.

კოშკის გახსნას ესწრებოდნენ ლევან ვარშალომიძე, ბათუმის ახალი მერი ჯემალ ანანიძე და ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლები.

როგორც ჯემალ ანანიძე აცხადებს, აღნიშნული პროექტი ქართული ალკოჰოლური სასმელების რეკლამირებას შეუწყობს ხელს.

„თურქეთის ქალაქ იზმირში თითქმის ანალოგიური პროექტია, ეს მოპარული პროექტი არ არის, შეთანხმებული ვარიანტია. მოხდება ქართული ალკოჰოლური სასმელების რეკლამირება. თუ ვინ აწარმოებს და რა თვისების მატარებელია პროდუქცია, დაინტერესებულ პირებს ამის შესახებ დამატებით ინფორმაციას მიაწვდის აქ მყოფი მომსახურე პერსონალი“, – აღნიშნა ჯემალ ანანიძემ.

როგორც ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით ქიქავა განმარტავს, ყოველ დღე 10 წუთის განმავლობაში ჭაჭის კოშკიდან სხვადასხვა სახეობის ჭაჭის არაყი გადმოედინება.

25-მეტრიანი კოშკის მშენებლობისთვის ბათუმის მერიამ ბიუჯეტიდან 810 055 ლარი გამოიყო.

ინტერპრესნიუსი

# ივანიშვილი ბრიუსელში მიიწვიეს

ნათია ხურცილავა

გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი შტეფან ფულე ბიძინა ივანიშვილს უკვე შეხვდა და ამ შეხვედრაზე ევროკომისიის თავმჯდომარის, ჟოზე მანუელ ბაროზოს მოწვევაც მიიღო.

ივანიშვილის ბრიუსელში მიწვევის შესახებ ჟურნალისტებს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით უსუფაშვილმა მიაწოდა ინფორმაცია.

– ბატონმა ფულემ ბატონ ბიძინას გადასცა ოფიციალური მოწვევა ბრიუსელიდან ბაროზოსგან და, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში დაიგეგმება ბრიუსელში ბიძინა ივანიშვილის ვიზიტი, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა, რომლის განმარტებითაც, ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში ივანიშვილი ყველა ევროპული სტრუქტურის ხელმძღვანელ პირებს შეხვდება.

რაც შეეხება უშუალოდ ევროკომისართან ბიზნესცენტრში გამართულ შეხვედრას, უსუფაშვილის თქმით, შეხვედრამ მეგობრულ გარემოში ჩაიარა და საუბარი საქართველოსა და ევროკავშირს შორის სხვადასხვა საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებებს შეეხებოდა.

– ეს იყო მეოთხე თუ მესამე შეხვედრა შტეფან ფულესთან, მაგრამ ამჯერად ბატონი ფულე ჩამობრძანდა იმისთვის, რომ ესაუბრა მომავალ პრემიერ-მინისტრთან. საუბარი შეეხებოდა ქვეყნის ინტეგრაციას ევროპულ სივრცეში, ასევე დეტალურად განვიხილეთ საკითხები იმ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, რომლებიც დღეისთვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის მიმდინარეობს, დავსახეთ თანამშრომლობის კონკრეტული გეგმებიც, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ევროკომისარ შტეფან ფულესა და ევროკავშირის დელეგაციის წევრებთან დაახლოებით ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

თბილისში ვიზიტით მყოფი ევროკომისარი ბიზნესცენტრში ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორის მოადგილე ჰელგა შმიდტთან და რამდენიმეკაციან დელეგაციასთან ერთად იმყოფებოდა.

გარდა ამისა, მათთან ერთად ბიზნესცენტრში მივიდა საქართველოში ევროკავშირის ელჩი ფილიპ დიმიტროვი.

ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას „ქართული ოცნების“ მხრიდან, სავარაუდოდ, პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატი დავით უსუფაშვილი, თედო ჯაფარიძე და მინისტრობის რამდენიმე კანდიდატიც ესწრებოდნენ.

თავდაცვის მინისტრობის კანდიდატი ირაკლი ალასანია ევროკომისარს გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულეს შეხვდა.

როგორც ალასანიას პრესსამსახურიდან გახდა ცნობილი, შეხვედრაზე საქართველოში ჩატარებულ არჩევნებსა და ევროკავშირთან სამომავლო ურთიერთობებზე ისაუბრეს.

ევროკომისრის შეფასებით, საქართველოში ჩატარებული არჩევნები და ხელისუფლების ახალი გუნდი ხელს შეუწყობს ევროკავშირისა და საქართველოს დაახლოებას და მჭიდრო თანამშრომლობის გაღრმავებას.

ირაკლი ალასანიამ თავდაცვის სამინისტროს ახალ პრიორიტეტებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ თავდაცვის სამინისტრო მაქსიმალურად გამჭვირვალე გახდება და მასზე სამოქალაქო კონტროლი გაძლიერდება.

შტეფან ფულესთან ასევე შეხვედრა ჰქონდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატ მაია ფანჯიკიძეს.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ფანჯიკიძემ განაცხადა, შეხვედრაზე საუბარი შეეხებოდა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებსა და მიმდინარე პროცესებს. მისივე განმარტებით, ყურადღება გამახვილდა იმ საქმეებზე, რომლებიც საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ევროინტეგრაციის სამინისტროს მიერ არის დაწყებული. ფანჯიკიძის




თქმით, ევროკავშირის წარმომადგენლებს მათ დაუდასტურეს სურვილი, რომ დაწყებული საქმეები გაგრძელდება და ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა იქნება თანმიმდევრული და უწყვეტი. ფანჯიკიძის თქმით, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები არის ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაცია.

მისივე თქმით, შეხვედრა გაცნობითი ხასიათის არ ყოფილა, რადგან მათ შორის შეხვედრა ადრეც გაიმართა. „ქართული ოცნების“ ოფისში შტეფან ფულე სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატს ევროპასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ალექსი პეტრიაშვილსაც შეხვდა. როგორც ცნობილია, შეხვედრის თემა ანალოგიური იყო.

ევროპელმა მაღალი რანგის დიპლომატებმა ახალი ხელისუფლებისგან მიიღეს პირობა, რომ ქვეყნის საგარეო ორიენტირები და კურსი ურყევი და უცვლელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველო“

ბანკი: სს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - -საქართველო"
თარიღი: 30-сен-12

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დანართი

ცხრილი N1

ლარებით

## საბალანსო უწყისი

| N | | საანგარიშგებო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | აქტივები | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
| 1 | ნაღდი ფული | 560,445 | 191,036 | 751,480 | 488,303 | 301,444 | 789,746 |
| 2 | ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 574,863 | 8,430,345 | 9,005,208 | 450,430 | 11,810,651 | 12,261,081 |
| 3 | ფულადი სახსრები სხვა ბანკებში | 15,717,512 | 5,053,212 | 20,770,724 | 5,737 | 25,256,092 | 25,261,829 |
| 4 | ფასიანი ქაღალდები დილინგური ოპერაციებისათვის | | | 0 | | | 0 |
| 5 | საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | | | 0 | | | 0 |
| 6,1 | მთლიანი სესხები | 19,501,522 | 78,239,731 | 97,741,253 | 22,597,658 | 34,457,738 | 57,055,396 |
| 6.2 | მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | -2,570,321 | -6,278,484 | -8,848,805 | -1,893,132 | -3,504,225 | -5,397,357 |
| 6 | წმინდა სესხები | 16,931,201 | 71,961,246 | 88,892,448 | 20,704,526 | 30,953,513 | 51,658,039 |
| 7 | დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 290,604 | 922,551 | 1,213,154 | 242,094 | 635,788 | 877,882 |
| 8 | დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება | 211,607 | | 211,607 | | | 0 |
| 9 | ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში | 54,000 | | 54,000 | 54,000 | | 54,000 |
| 10 | ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 7,416,895 | | 7,416,895 | 7,641,809 | | 7,641,809 |
| 11 | სხვა აქტივები | 312,803 | 46,539 | 359,342 | 148,888 | 1,734,811 | 1,883,700 |
| 12 | **მთლიანი აქტივები** | **42,069,929** | **86,604,929** | **128,674,858** | **29,735,788** | **70,692,299** | **100,428,087** |
| | **ვალდებულებები** | | | | | | |
| 13 | ბანკების დეპოზიტები | 0 | 61,580,358 | 61,580,358 | 420,000 | 21,808,833 | 22,228,833 |
| 14 | მიმდინარე დეპოზიტები (ანგარიშები) | 12,256,367 | 6,503,428 | 15,054,616 | 2,151,024 | 29,371,773 | 31,522,797 |
| 15 | მოთხოვნამდე დეპოზიტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 16 | ვადიანი დეპოზიტები | | 8,923,314 | 8,923,314 | 1,000,000 | 11,317,811 | 12,317,811 |
| 17 | საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები | | | 0 | | | 0 |
| 18 | ნასესხები სახსრები | | 0 | 0 | | 0 | 0 |
| 19 | დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 0 | 270,034 | 270,034 | 4,274 | 187,495 | 191,769 |
| 20 | სხვა ვალდებულებები | 106,498 | 2,031,582 | 2,138,080 | 73,430 | 1,139,190 | 1,212,620 |
| 21 | სუბორდინირებული ვალდებულებები | | 11,615,100 | 11,615,100 | | 11,627,000 | 11,627,000 |
| 22 | **მთლიანი ვალდებულებები** | **12,362,865** | **90,923,816** | **103,286,682** | **3,648,728** | **75,452,102** | **79,100,830** |
| | **საქციო კაპიტალი** | | | | | | |
| 23 | ჩვეულებრივი აქციები | 22,688,000 | | 22,688,000 | 22,688,000 | | 22,688,000 |
| 24 | პრივილეგირებული აქციები | | | 0 | | | 0 |
| 25 | მინუს: გამოსყიდული აქციები | | | 0 | | | 0 |
| 26 | საემისიო კაპიტალი | | | 0 | | | 0 |
| 27 | საერთო რეზერვები | | | 0 | | | 0 |
| 28 | გაუნაწილებელი მოგება | 2,648,251 | | 2,648,251 | -1,387,807 | | -1,387,807 |
| 29 | აქტივების გადაფასების რეზერვები | 51,925 | | 51,925 | 27,064 | | 0 |
| 30 | **სულ საქციო კაპიტალი** | **25,388,176** | | **25,388,176** | **21,327,257** | | **21,327,257** |
| 31 | **მთლიანი ვალდებულებები და საქციო კაპიტალი** | **37,751,042** | **90,923,816** | **128,674,858** | **24,975,985** | **75,452,102** | **100,428,087** |

გენერალური დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

ბანკი: სს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - -საქართველო"
თარიღი: 30-сен-12

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დანართი

ცხრილი N2

ლარებით

## მოგება - ზარალის უწყისი

| N | | საანგარიშგებო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
| | **საპროცენტო შემოსავლები** | | | | | | |
| 1 | საპროცენტო შემოსავლები ბანკებიდან "ნოსტრო" ანგარიშებისა და დეპოზიტების მიხედვით | 293,986 | 209,689 | 503,675 | 162,374 | 256,695 | 419,069 |
| 2 | საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან | 2,315,599 | 3,803,779 | 6,119,378 | 773,384 | 2,347,130 | 3,120,514 |
| 2,1 | ბანკთაშორისი სესხებიდან | | | 0 | | | 0 |
| 2,2 | ვაჭრობისა და მომსახურების სექტორზე გაცემული სესხებიდან | 555,453 | 2,239,632 | 2,795,085 | 94,284 | 1,964,916 | 2,059,200 |
| 2,3 | ენერგეტიკის სექტორზე გაცემული სესხებიდან | | 424 | 424 | | | 0 |
| 2,4 | სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | | | 0 | | | 0 |
| 2,5 | მშენებლობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | 1,253,664 | 1,371,691 | 2,625,355 | 494,984 | 403,920 | 898,904 |
| 2,6 | სამთომოპოვებელ და გადამამუშავებელ სექტორზე გაცემული სესხებიდან | | | 0 | | | 0 |
| 2,7 | ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე გაცემული სესხებიდან | | 8,696 | 8,696 | | 12,750 | 12,750 |
| 2,8 | ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან | 29,754 | 70,608 | 100,362 | 10,183 | -51,375 | -41,191 |
| 2,9 | დანარჩენ სექტორზე გაცემული სესხებიდან | 476,727 | 112,728 | 589,455 | 173,932 | 16,918 | 190,851 |
| 3 | შემოსავლები ჯარიმებიდან/საურავებიდან კლიენტებისათვის მიცემული სესხების მიხედვით | -13,627 | -8,077 | -21,703 | 127,776 | 223,777 | 351,553 |
| 3 | საპროცენტო და დისკონტური შემოსავლები ფასიანი ქაღალდებიდან | | | 0 | | | 0 |
| 4 | სხვა საპროცენტო შემოსავლები | 87,157 | 253,098 | 340,254 | 175,614 | 99,190 | 274,804 |
| 5 | **მთლიანი საპროცენტო შემოსავალი** | 2,683,115 | 4,258,489 | 6,941,604 | 1,239,147 | 2,926,792 | 4,165,940 |
| | **საპროცენტო ხარჯები** | | | | | | |
| 6 | მოთხოვნამდე დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 1,295 | 186 | 1,480 | 4,182 | | 4,182 |
| 7 | ვადიან დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | | 655,553 | 655,553 | 4,274 | 824,479 | 828,753 |
| 8 | ბანკების დეპოზიტებზე გადახდილი პროცენტები | 20,296 | 964,813 | 985,110 | 22,193 | 379,370 | 401,563 |
| 9 | საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტები | | | 0 | | | 0 |
| 10 | ნასესხებ სახსრებზე გადახდილი პროცენტები | | 438,110 | 438,110 | 1,093 | 615,021 | 616,114 |
| 11 | სხვა საპროცენტო ხარჯები | | | 0 | | | 0 |
| 12 | **მთლიანი საპროცენტო ხარჯები** | 21,591 | 2,058,661 | 2,080,252 | 31,742 | 1,818,869 | 1,850,611 |
| 13 | **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | 2,661,524 | 2,199,828 | 4,861,352 | 1,207,406 | 1,107,923 | 2,315,329 |
| | | | | | | | |
| | **არასაპროცენტო შემოსავლები** | | | | | | |
| 14 | წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები მომსახურების მიხედვით | 311,364 | 2,331,861 | 2,643,226 | 241,053 | 1,098,033 | 1,339,086 |
| 14,1 | საკომისიო და სხვა შემოსავლები გაწეული მომსახურების მიხედვით | 414,357 | 2,398,078 | 2,812,435 | 323,845 | 1,174,850 | 1,498,695 |
| 14,2 | საკომისიო და სხვა ხარჯები მიღებული მომსახურების მიხედვით | 102,993 | 66,216 | 169,209 | 82,792 | 76,817 | 159,609 |
| 15 | მიღებული დივიდენდები | | | 0 | | | 0 |
| 16 | მოგება (ზარალი) დილინგური ფასიანი ქაღალდებიდან | | | 0 | | | 0 |
| 17 | მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან | | | 0 | | | 0 |
| 18 | მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან | 1,121,291 | | 1,121,291 | 957,642 | | 957,642 |
| 19 | მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 23,661 | | 23,661 | -149,851 | | -149,851 |
| 20 | მოგება (ზარალი) ქონების გაყიდვიდან | 428 | | 428 | | | 0 |
| 21 | სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებული არასაპროცენტო შემოსავლები | | | 0 | | | 0 |
| 22 | სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 113,661 | 41,573 | 155,234 | 3,494 | 15,063 | 18,556 |
| 23 | მთლიანი არასაპროცენტო შემოსავლები | 1,570,406 | 2,373,434 | 3,943,840 | 1,052,338 | 1,113,095 | 2,165,434 |
| | **არასაპროცენტო ხარჯები** | | | | | | |
| 24 | სხვა საბანკო ოპერაციების მიხედვით გაწეული არასაპროცენტო ხარჯები | | | 0 | | | 0 |
| 25 | ბანკის განვითარების, საკონსულტაციო და მარკეტინგის ხარჯები | 21,021 | - | 21,021 | 20,140 | 3,877 | 24,016 |
| 26 | ბანკის პერსონალის ხარჯები | 1,096,972 | | 1,096,972 | 955,258 | | 955,258 |
| 27 | ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯები | 7,254 | | 7,254 | 52,502 | | 52,502 |
| 28 | ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები | 253,212 | | 253,212 | 213,393 | | 213,393 |
| 29 | სხვა არასაპროცენტო ხარჯები | 619,410 | 39,331 | 658,741 | 465,175 | 36,382 | 501,557 |
| 30 | **მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები** | 1,997,870 | 39,331 | 2,037,201 | 1,706,469 | 40,258 | 1,746,727 |
| 31 | **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი** | -427,464 | 2,334,103 | 1,906,639 | -654,130 | 1,072,837 | 418,706 |
| | | | | | | | |
| 32 | **წმინდა მოგება დარეზერვებამდე** | 2,234,060 | 4,533,931 | 6,767,991 | 553,275 | 2,180,760 | 2,734,035 |
| | | | | | | | |
| 33 | ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 2,003,855 | X | 2,003,855 | 859,051 | X | 859,051 |
| 34 | ზარალი ინვესტიციების და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | | X | 0 | | X | 0 |
| 35 | ზარალი სხვა აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | 341,631 | X | 341,631 | 822,455 | X | 822,455 |
| 36 | **მთლიანი ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით** | 2,345,486 | 0 | 2,345,486 | 1,681,506 | 0 | 1,681,506 |
| | | | | | | | |
| 37 | **მოგება გადასახადის გადახდამდე და გაუთვალისწინებელ შემოსავალ-ხარჯებამდე** | -111,426 | 4,533,931 | 4,422,505 | -1,128,230 | 2,180,760 | 1,052,530 |
| 38 | მოგების გადასახადი | 74,450 | | 74,450 | | | 0 |
| 39 | **მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ** | -185,876 | 4,533,931 | 4,348,055 | -1,128,230 | 2,180,760 | 1,052,530 |
| 40 | გაუთვალისწინებელი შემოსავლები (ხარჯები) | | | 0 | | | 0 |
| 41 | **წმინდა მოგება** | -185,876 | 4,533,931 | 4,348,055 | -1,128,230 | 2,180,760 | 1,052,530 |

გენერალური დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

ბანკი: სს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - -საქართველო"
თარიღი: 30-сен-12

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დანართი

ცხრილი N3

ლარებით

## ბალანსგარეშე ანგარიშგების უწყისი

| N | | საანგარიშგებო პერიოდი | | | წინა წლის შესაბამისი პერიოდი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ | ლარი | უცხ. ვალუტა | სულ |
| 1 | **პირობითი ვალდებულებები** | 19,984,173 | 67,125,121 | 87,109,295 | 44,268,335 | 42,361,882 | 86,630,216 |
| 1,1 | აქცეპტები და ინდოსამენტები | | | 0 | | | 0 |
| 1,2 | გაცემული გარანტიები | 2,414,848 | 12,598,998 | 15,013,846 | 3,415,595 | 3,235,012 | 6,650,606 |
| 1,3 | მიღებული გარანტიები | 300,850 | 32,867,497 | 33,168,347 | 260,000 | 11,974,563 | 12,234,563 |
| 1,4 | გირავნობის უზრუნველყოფის სახით გაცემული აქტივები | | | 0 | | | 0 |
| 1,5 | გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივები | 17,268,475 | 21,658,626 | 38,927,101 | 40,592,740 | 27,152,307 | 67,745,047 |
| 1,6 | სხვა პირობითი ვალდებულებები | | | 0 | | | 0 |
| 2 | **ფორმალური ვალდებულებები** | 71,386 | 368,811 | 440,197 | 62,710 | 821,365 | 884,074 |
| 2,1 | აღებული ფინანსური ვალდებულებები | 71,386 | 368,811 | 440,197 | 62,710 | 821,365 | 884,074 |
| 2.2 | მესამე მხარის მიერ მიღებული ფინანსური ვალდებულებები | | | 0 | | | 0 |
| 2.3 | მისაღებად მოსალოდნელი ფასიანი ქაღალდები | | | 0 | | | 0 |
| 2,4 | გასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები | | | 0 | | | 0 |
| 2,5 | ნაღდ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციები | | | 0 | | | 0 |
| 2,6 | ფორვარდული სავალუტო ოპერაციები | | | 0 | | | 0 |
| 2,7 | დანარჩენი ვალდებულებები | | | 0 | | | 0 |
| 3 | **სხვა ვალდებულებები** | 2,414,848 | 12,598,998 | 15,013,846 | 3,415,595 | 3,235,012 | 6,650,606 |
| 3,1 | ტრასატის ვალდებულება ბანკის მიმართ | | | 0 | | | 0 |
| 3,2 | კლიენტის ვალდებულება | 2,414,848 | 12,598,998 | 15,013,846 | 3,415,595 | 3,235,012 | 6,650,606 |
| 3,3 | მესამე მხარის კლიენტის ვალდებულება ბანკის მიმართ | | | 0 | | | 0 |
| 4 | **ვალდებულებები ბანკში შესანახავად განთავსებულ ქონებაზე** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 4,1 | ძვირფასი ლითონები | | | 0 | | | 0 |
| 4,2 | ფასიანი ქაღალდები | | | 0 | | | 0 |
| 4,3 | სხვა ქონება | | | 0 | | | 0 |
| 5 | **საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5,1 | საპროცენტო განაკვეთების სვოპების ძირითადი თანხა | | | 0 | | | 0 |
| 5,2 | ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფორვარდული კონტრაქტები | | | 0 | | | 0 |
| 5,3 | ფინანსურ ინსტრუმენტებზე დადებული ფიუჩერსული კონტრაქტები | | | 0 | | | 0 |
| 5,4 | ოფციონები | | | 0 | | | 0 |
| 6 | **კონტრაქტები საქონელზე და საქციო კაპიტალის შესახებ** | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6,1 | სვოპების ძირითადი თანხა | | | 0 | | | 0 |
| 6,2 | ფორვარდული კონტრაქტები | | | 0 | | | 0 |
| 6,3 | ფიუჩერსული კონტრაქტები | | | 0 | | | 0 |
| 6,4 | ოფციონები | | | 0 | | | 0 |
| 7 | **გაუნაღდებელი დოკუმენტები** | 13,388,284 | 0 | 13,388,284 | 9,666,866 | 0 | 9,666,866 |
| 7.1 | ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები გადამხდელის მიზეზით | 13,388,284 | | 13,388,284 | 9,666,866 | | 9,666,866 |
| 7.2 | ვადაში გაუნაღდებელი დოკუმენტები ბანკის მიზეზით | | | 0 | | | 0 |
| 7.3 | გაუნაღდებელი საწესდებო ფონდი | | | 0 | | | 0 |
| 8 | **ზარალში ჩამოწერილი ვალები** | 4,626,610 | 6,654,031 | 11,280,641 | 3,202,519 | 4,270,628 | 7,473,146 |
| 8.1 | სესხებზე მიღებული პროცენტები 31.12.2000-მდე | | | 0 | | | 0 |
| 8.2 | სესხებზე მიუღებელი პროცენტები 01.01.2001-დან | 4,626,610 | 6,654,031 | 11,280,641 | 3,202,519 | 4,270,628 | 7,473,146 |
| 8.3 | ზარალში ჩამოწერილი ვალები 31.12.2000-მდე | | | 0 | | | 0 |
| 8.4 | ზარალში ჩამოწერილი ვალები 01.01.2001-დან | | | 0 | | | 0 |
| 8.5 | ზარალში ჩამოწერილი სხვა აქტივები | | | 0 | | | 0 |
| 9 | **სხვა ფასეულობა და დოკუმენტები** | 24,691 | 0 | 24,691 | 20,422 | 0 | 20,422 |
| 9.1 | გაურკვეველი ფულიანი ამანათები | | | 0 | | | 0 |
| 9.2 | მცირეფასიანი ინვენტარი | 20,276 | | 20,276 | 17,690 | | 17,690 |
| 9.3 | მკაცრი აღრიცხვის ბლანკები | 4,415 | | 4,415 | 2,732 | | 2,732 |
| 9.4 | საეკლატარიის ანაზღაურება | | | 0 | | | 0 |
| 10 | **სულ** | 40,509,993 | 86,746,961 | 127,256,954 | 60,636,445 | 50,688,885 | 111,325,331 |

გენერალური დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დანართი

სს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - -საქართველო"
თარიღი: 30-сен-12

ცხრილი N4

## ეკონომიკური მაჩვენებლები

| | | საანგარიშგებო პერიოდი | წინა წლის შესაბამისი პერიოდი |
|---|---|---|---|
| | **კაპიტალი** | | |
| 1 | პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი ≥ 8% | 28,18% | 35,39% |
| 2 | საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი ≥ 12% | 48,03% | 56,32% |
| 3 | რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები / მთლიან აქტივებთან | 57,43% | 56,54% |
| 4 | ფულადი დივიდენდები / წმინდა მოგებასთან | | |
| | **მოგება** | | |
| 5 | მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 9,14% | 7,93% |
| 6 | მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 2,74% | 3,52% |
| 7 | საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან | 8,88% | 5,42% |
| 8 | წმინდა საპროცენტო მარჟა | 6,40% | 4,40% |
| 9 | უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) | 5,72% | 2,00% |
| 10 | უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) | 25,69% | 10,53% |
| | **აქტივების ხარისხი** | | |
| 11 | უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან | 6,75% | 11,02% |
| 12 | სშდრ / მთლიან სესხებთან | 9,05% | 9,46% |
| 13 | უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან | 80,05% | 60,39% |
| 14 | უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან | 67,31% | 70,39% |
| 15 | მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი | 47,48% | 74,17% |
| | **ლიკვიდობა** | | |
| 16 | ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან | 23,72% | 38,15% |
| 17 | უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან | 88,03% | 95,39% |
| 18 | მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან | 14,58% | 29,27% |

გენერალური დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესის დანართი

სს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - -საქართველო"
თარიღი: 30-сен-12

## ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერთა შესახებ

ცხრილი N5

| | | |
|---|---|---|
| | **სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა** | |
| 1 | ემილ მუსტაფაევი | |
| 2 | ახმეტ ემანი | |
| 3 | რაშად გაჯიევი | |
| 4 | | |
| 5 | | |
| | | |
| | **დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა** | |
| 1 | სამირ ველიევი | |
| 2 | ალი ჰაკვერდიევი | |
| 3 | შაკირ მამედოვი | |
| 4 | ნელი წიკლაური | |
| 5 | | |
| | | |
| | **საწესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალი წილების მითითებით** | |
| 1 | ღსს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი" | 75% |
| 2 | ღსს "აზერბაიჯანის ინდუსტრიული ბანკი" | 12.5% |
| 3 | ივანე ჩხარტიშვილი | 12.5% |
| 4 | | |
| 5 | | |
| | ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%–ს ან მეტს წილების მითითებით | |
| 1 | აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების სახელმწიფო კომიტეტი | 37.65% |
| 2 | ზეინაბ კონიარი | 12.13% |
| 3 | ივანე ჩხარტიშვილი | 12.5% |
| 4 | | |
| 5 | | |

გენერალური დირექტორი
მთავარი ბუღალტერი

## დავით სერგეენკო: „პენსია საარსებო მინიმუმს დაუახლოვდება“

ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატის დავით სერგეენკოს განცხადებით, სადაზღვევო პაკეტი ყველასთვის ერთნაირი არ იქნება, განსხვება მცირე, კერძოდ კი, ასაკობრივი და სოციალური ფაქტორების შესაბამისი იქნება.

როგორც სერგეენკომ გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა, ძირითადი საბაზისო სახელმწიფო პაკეტი ბიუჯეტიდან დაფინანსდება და



თანხების წარმართვა ერთიანი სახელმწიფო სადაზღვევო ფონდიდან მოხდება.

„მაგალითად თუ სადაზღვევო პაკეტი კარდიოქირურგიულ ოპერაციას ანაზღაურებს, ის აქტუალური გარკვეული ასაკობრივი ჯგუფისთვის იქნება. ბავშვებისთვის კი, აქტუალური სხვა საკითხებია. რაც შეეხება ქრონიკული დაავადებების მქონე პირებს, სადაზღვევო პაკეტი სხვა, მესამე მიმართულებით არ ჩამოყალიბდება“ – განაცხადა მინისტრობის კანდიდატმა.

რაც შეეხება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს და სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამაში მათთვის დამატებითი პრიორიტეტების გათვალისწინებას, სერგეენკოს განცხადებით, ეს პაკეტში არ აისახება, თუმცა, მისი თქმით, არსებობს სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ამ კატეგორიის ბავშვებისთვის სხვადასხვა მომსახურებას ითვალისწინებს.

მინისტრობის კანდიდატის განცხადებით, სამინისტროს პირველი ნაბიჯი პენსიის საარსებო მინიმუმთან დაახლოება, ხოლო შემდეგი ნაბიჯი საარსებო მინიმუმის დროის იმ პერიოდის შესაბამისად გადაფასება იქნება რა პერიოდშიც ეს გადაფასება ხდება.

მისი თქმით, პროექტი ნაბიჯ-ნაბიჯ განხორციელდება, თუმცა, პრიორიტეტი ერთიანი სადაზღვევო პაკეტით მოსახლეობის უზრუნველყოფა იქნება, რაც 2013 წლის დასაწყისში განხორციელდება.

სხვა სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, სერგეენკომ აღნიშნა, რომ მათ განსასაზღვრად 2013 წლის ბიუჯეტის ზუსტი ცოდნაა საჭირო

**ნიუსპრესი**

## ყოლბაია სოციალურ ქსელებში მისი პიროვნების გარშემო შექმნილ მითქმა-მოთქმას ეხმაურება

„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ გენერალური მდივანი ვახტანგ ყოლბაია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის პოსტზე მისი კანდიდატურის შესაძლო დასახლებასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელებში მიმდინარე პოლემიკას ღია წერილით ეხმიანება.

ყოლბაია აცხადებს, რომ მისი განსაკუთრებული გაკვირვება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ სოციალურ ქსელებში გამართული პოლემიკის დროს საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის მიუღებელი ნინო ბურჯანაძის პარტიის წევრობა გახდა. მისი თქმით, ბურჯანაძემ თავისი პოლიტიკური საქმიანობის განმავლობაში ქვეყნისა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ბევრი კარგი რამ გააკეთა.

„დემოკრატიული მოძრაობა“ დაარსების დღიდან ქვეყანაში ჩამოყალიბე-



ბულ ნეობოლშევიზმთან თავდაუზოგავი და მიზანმიმართული ბრძოლის გამო გახდა უპრეცედენტო რეპრესიების მსხვერპლი. მოგონილი ბრალდებებით დააპატიმრეს ჩვენი პარტიის 68 წევრი, რომელთაგან 42 ჯერ კიდევ იხდის სასჯელს 3-დან 12 წლამდე, ასევე, 10 ადამიანმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება და ინვალიდად იქცა, ხოლო 16 ადამიანმა უკანონოდ უკვე მოიხადა სასჯელი“ – აცხადებს ყოლბაია და დასძენს, რომ „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრებს მხოლოდ ნინო ბურჯანაძის გუნდის წევრობის გამო დევნიდნენ.

მისივე განმარტებით, „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ არჩევნებში მონაწილოებაზე უარი განაცხადა, რათა ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეების ხმები არ გაფანტულიყო.

ყოლბაია 1992-2004 წლებში საქართველოს პარლამენტსა და აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში თავისი საქმიანობის შესახებაც საუბრობს. როგორც ის აღნიშნავს, იმ დროინდელმა პარლამენტმა მისი ინიციატივით მიიღო „კანონი იძულებით გადადგილებულ პირთა შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა დევნილებისთვის შეღავათებს ჯანდაცვაში და მინიმალურ საფასურს სწავლაში, ასევე, მრავალ შეღავათს ომის ვეტერანებისთვის.

„ვაკვირდებოდი სოციალურ ქსელში მიმოწერას რამდენიმე პიროვნებას შორის და ვიცი იმ მოწოდებების შესახებ, რომელიც გაიგზავნა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში საპროტესტო აქციების მოწყობის მიზნით. ირონია იმასთან დაკავშირებით, რომ ვერ შევძელით ჩემი მომხრეების მოყვანა „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისთან, ოცდაათიოდე კაცისაგან შემდგარი აქციის საპირწონედ, ღიმილის მომგვრელია, „დემოკრატიულ მოძრაობას“ 30 000 მხოლოდ რეგისტრირებული წევრი ჰყავს, მათ შორის, პარტიის წევრთა საკმაოდ სოლიდურ რაოდენობას იძულებით გადაადგილებული პირები წარმოადგენენ. მიმაჩნია, რომ საზოგადოების ჯგუფებად დაყოფა და განხეთქილების შეტანა ასეთ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებით დევნილებს შორის, ამორალური და პროვოკაციულია“-აცხადებს ყოლბაია.

მისივე თქმით, „დემოკრატიული მოძრაობა“ მინისტრის სავარძელს ახალ მთავრობაში ისედაც არ მოიაზრებდა.

**ნიუსპრესი**

# ლაშა ამირეჯიბი: „ივანიშვილთან ხალხს ხუხაშვილი არ უშვებდა“



### „უხერხულია რესპუბლიკელებმა შექმნან ქართული პოლიტიკა“

„ქართულ ოცნებაში“ არიან ადამიანები, რომლებიც წინა ხელისუფლებასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ, კაბინეტებში ხდებოდა ფულის აღება და ამას ნაციონალები მათ მუდმივად შეახსენებენ; ნაციონალები არც ეთნოკონფლიქტის გაღვივებაზე იტყვიან უარს;

„თუ ივანიშვილის ხელისუფლება არასწორ ნაბიჯებს გადადგამს, მე ვიქნები ერთ-ერთი პირველი ვინც მას გააკრიტიკებს“ – აცხადებს ლაშა ამირეჯიბი, რომელმაც არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ვაკის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატობიდან საკუთარი პერსონა ოპოზიციის სასარგებლოდ მოხსნა. „ნიუსპრესთან“ საუბარში ის ქვეყანაში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე და ყოფილი ხელისუფლების შესაძლო რევანშის ბერკეტებზე საუბრობს.

***– როგორ შეაფასებდით ჩატარებულ არჩევნებს და როგორ აისახა ეს პროცესები ქვეყნის დემოკრატიის ხარისხზე?***

– დემოკრატიულობის თვალსაზრისით, საქართველოში მსგავსი არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა. თუმცა, გაყალბებას ადგილი მაინც ჰქონდა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნების შედეგები ნაწილობრივ მაინც გააყალბა. რეალურად, კოალიცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, 15% - ით განსხვავებული შედეგები იყო.

***– ანუ თვლით, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ მეტი მანდატი მოიპოვა?***

– რა თქმა უნდა... სადღაც ბიულეტენების ყუთები მოიპარეს, სადღაც ვიღაცებს უბნებზე შეუხტნენ... „ქართულ ოცნებას“ ნამდვილად მეტი მანდატი ჰქონდა.

***– რაც შეეხება წინასაარჩევნო პროცესს?***

– წინასაარჩევნო პერიოდი „ნაციონალების“ მხრიდან მთლიანად ძალადობაზე იყო აგებული, იყო რეპრესიები, ხალხის დაშინება. მაგალითად, ამას თუ არ მისცემ ხმას ვაუჩერს არ მოგცემთ, დაგიჭერთ და ა. შ. თუმცა, ქართულმა საზოგადოებამ ეს ყველაფერი დაძლია.

***– ამ ყველაფრის ფონზე, რამდენად იყო მოსალოდნელი ასეთი შედეგი?***

– რომ არა ციხის ცნობილი კადრები, რომ არა ირმა ინაშვილი, დათო თარხან-მოურავი და ის მაღალჩინოსნები ვინც კადრები გაავრცელა, არჩევნები ასეთი შედეგით არ დამთავრდებოდა. „ქართული ოცნება“ მხოლოდ 40-50 მანდატის მოპოვებას შეძლებდა.

***– იყო თუ არა სამოქალაქო ომის საფრთხე და რის ხარჯზე მოხდა მისი თავიდან აცილება?***

– სამოქალაქო ომის წინაშე ნამდვილად ვიდექით და ამის ერთ-ერთი წინაპირობა ლაფანყურის საქმეც იყო. კონფლიქტის თავიდან აცილებაში დიდი როლი ამერიკის ელჩმა და რამდენიმე ევროპელმა პოლიტიკოსმა შეასრულა. პრაქტიკულად, მანდატები გადანაწილდა და ორივე მხარე ამით დაკმაყოფილდა. ივანიშვილს უთხრეს, რომ მიშა ნელ-ნელა წავა, უნდა მოითმინოო და ბიძინაც დათანხმდა.

***– იმ პირობებში, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ინარჩუნებს პრეზიდენტის თანამდებობას, რა ბერკეტები რჩება „ნაციონალური მოძრაობის“ ხელში, რითაც ის „ქართული ოცნებისთვის“ ხელის შეშლას ეცდება, იქნება ეს დედაქალაქი თუ რეგიონები?***

– სააკაშვილი ეცდება ხელისუფლების შენარჩუნებას და შესაბამისი ბერკეტების გამოყენებას. ამის მაგალითია ის ცვლილება, რაც მან შეიარაღებულ ძალებში განახორციელა და გენერალური შტაბის უფროსად თავისი კაცი დანიშნა. გამოდის, რომ თავდაცვის მომავალ მინისტრს ირაკლი ალასანიას შტაბის უფროსი არ ჰყავს და მას სადღაც 20 კაცი დაექვემდებარება, რადგან ჯარი გენერალური შტაბის უფროსის დაქვემდებარებაშია. მსგავსი ცვლილებებით ყოფილი მმართველი ძალა გარკვეული ბერკეტის შენარჩუნებას ცდილობს, თუმცა, ეს ხავსზე მოჭიდებას ჰგავს.

რაც შეეხება რეგიონებს, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და იგივე გუბერნატორები გამგეობებში, სოფლის საკრებულოებში, ხალხზე მუშაობას დღემდე ცდილობენ. მაგალითად, გარდაბანში აზერბაიჯანელ და ქართველ მოსახლეობას შორის კონფლიქტის გაღვივების მცდელობაც კი იყო. „ნაციონალებმა“ აღარ იციან რა ჰქნან, ცდილობენ აზერბაიჯანელები დაარწმუნონ, რომ სვანეთიდან ჩასახლებული მოსახლეობა მათ ცემას და გადასახლებას დაიწყებს. საბედნიეროდ, აზერბაიჯანელებმა ეს სიცრუე არ დაიჯერეს და სიტუაცია მოგვარდა. თუ „ქართული ოცნება“ სწორ და თანამიმდევრულ ნაბიჯებს გადადგამს, ესენი ველარასოდეს დაბრუნდებიან.

***– ბატონო ლაშა, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიასთან დაკავშირებით თქვენ გარკვეული შენიშვნები გქონდათ, რას ფიქრობთ მთავრობის დაკომპლექტების საკითხზე?***

– არის მინისტრობის რამდენიმე კანდიდატი, რომლებზეც ვფიქრობ, რომ თავისი საქმის პროფესიონალები არიან, თუმცა, ყველაზე ასე არ ვფიქრობ. თანამდებობაზე ისეთი ადამიანის ხილვა არ მინდა, ვინც მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე ფიქრობს. აქამდე ხალხი ხელისუფლებას ემსახურებოდა, ახლა მოვიდა ის დრო, რომ ხელისუფლება ემსახუროს ხალხს.

***– მიგაჩნიათ, რომ „ქართული ოცნების“ პირობებში ეს შესაძლებელია?***

– როგორც ბ-ნი ბიძინა ბრძანებს, ხელისუფლება ქართულმა საზოგადოებამ უნდა გააკონტროლოს, მონიტორინგი უნდა დაუწესოს. ეს შესაძლებელია და თუ ასე არ მოხდება ჩვენ აქ ვართ.

***– არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ვაკის საარჩევნო ოლქში თქვენი კანდიდატურა მოხსენით, რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?***

– მოვხსენი სამართლიანობის სასარგებლოდ, შეიძლება „ქართული ოცნების“ სასარგებლოდაც, მაგრამ არ მინდა ისე გამოვიდეს, თითქოს, მაგათ ხოტბას ვასხამ. ჯანსაღი კრიტიკა ბიძინა ივანიშვილსაც არ აწყენდა. როდესაც ხელისუფლება არასწორ ნაბიჯებს გადადგამს, მე – ლაშა ამირეჯიბი მას აუცილებლად გავაკრიტიკებ.

***– „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში თავისი სიით მონაწილეობა რომ შემოეთავაზებინა დათანხმდებოდით?***

– არ ვიცი რას ვიზამდი, მაგრამ ამას ხელი ვიღაც-ვიღაცეებმა ხელოვნურად შეუშალეს. „ქართულ ოცნებაში“ იყვნენ ადამიანები ვინც იგონებდა ჭორებს, ენები მიჰქონდათ და გარკვეულ ადამიანებს ბლოკავდნენ. „ბევრს სისხლი გავუშრე და ბევრს გული ვატკინეო“– გია ხუხაშვილის ამ განცხადებას მინდა გამოვეხმაურო. „მართალი ხარ ჩემო გია, ბევრს გაუშრე სისხლი და ბევრი ადამიანი დაბლოკე, ბევრი ადამიანი, ვისაც უანგაროდ უნდოდა ბიძინასთან ურთიერთობა ქუჩაში დატოვე. ძალიან სწორი გადაწყვეტილება მიიღე „ქართული ოცნებიდან“ რომ წამოხვედი, მე ამ გადაწყვეტილებას მივესალმები“. იმ ყველაფრის ფონზე, როდესაც დაბლოკვაზე საუბრობთ, როდესაც კოალიციის შიგნით პრივილეგიების მოსაპოვებლად გარკვეულ ადამიანთა მცდელობაზე მიანიშნებთ, მიგაჩნიათ, რომ „ქართული ოცნების“ წევრთა წინასაარჩევნოდ გავრცელებული სატელეფონო საუბრები სიმართლე იყო, თუ ფაბრიკაციის ვერსიისკენ იხრებით? თუ „ქართული ოცნების“ წევრებს სჯერათ, რომ ეს ფაბრიკაცია იყო, მეც დავიჯერებ. ჩემთვის, როგორც კაცისთვის, მათგან ყველაზე მტკივნეული სისხლის აღრევაზე საუბარი იყო. ვთქვათ, ეს „შეთითხნილია“, მაინც ცუდად ხვდება ყურს, ეს თემა პოლიტიკაში მიუღებელია, ასე ქალებიც კი არ ჭორაობენ.

***– როდესაც მანდატები გადანაწილებულია, როგორ ხედავთ პარლამენტში შესული პარტიების თანამშრომლობას?***

– წარმოუდგენლად მიმაჩნია მათი ერთად მუშაობა. როდესაც „ქართული ოცნება“ დაიწყებს „ნაციონალების“ შევიწროებას, როდესაც დანაშაულების რიტორიკა დაიწყება და ფაქტები დაიდება, მეორე მხარეც დადებს ძალიან ბევრ ფაქტს. „ქართულ ოცნებაში“ არიან ადამიანები, რომლებიც წინა ხელისუფლებასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ, კაბინეტებში ხდებოდა ფულის აღება, ამას მეორე მხარე მათ მუდმივად შეახსენებს.

***– პოლიტპატიმრების თემას რომ შევეხოთ, ამ კუთხით ახალი მთავრობისგან რა მოლოდინი გაქვთ?***

– მე, თეა წულუკიანის დიდი იმედი მაქვს და მჯერა, რომ ის ამ პრობლემას ძალიან მალე მოაგვარებს. ყველა პოლიტპატიმარი უპირობოდ უნდა გათავისუფლდეს. კარგია, როდესაც თამაზაშვილი პირველი გამოუშვეს. თუმცა, სიმართლე გითხრათ თამაზაშვილი, რომ სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად გამოეშვათ უფრო სამართლიანი იქნებოდა. ბოლოს მინდა დავამატო, რომ ცოტა უხერხულია, როცა ქართული პოლიტიკა „რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენლებმა უნდა შექმნან. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ის რესპუბლიკელები არიან, რომლების ყოფილ ხელისუფლებასთან და თავისუფლების ინსტიტუტთან ერთად ერთი ხელიდან იკვებებოდნენ. ალბათ ცოტა ხანში გამოჩნდება ბიძინა ივანიშვილმა არჩევანის ამ გუნდზე გაკეთებით მოიგო თუ წააგო. თუმცა, მინდა მას ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა, რომ ჯოჯოხეთი ნაწილობრივ მოვიშორეთ და იმედია, მთლიანად მოვიშორებთ.

**ნიუსპრესი**

## დუშეთში პოლიციის ყოფილი შენობიდან უსახლკარო ოჯახებს ასახლებენ

დუშეთის პოლიციის ყოფილ შენობაში შეჭრილ 6 ოჯახს სამართალდამცავები ძალის გამოყენებით ასახლებენ. როგორც მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ერთ-ერთმა უსახლკარომ ფიქრია ფეიქრიშვილმა განუცხადა, პოლიციის თანამშრომლები უკვე შენობასთან არიან მობილიზებული.

„ძველი პოლიციის შენობაში უკვე 3 წელია 2 ოჯახია შესახლებული. დაახლოებით 1 თვის წინ კიდევ 4 ოჯახი შევსახლდით. პოლიცია მოგვიგზავნეს, გარეთ დგანან და გვითხრეს, გამგეობამ სია გადმოგვცა და უნდა გაგასახლოთო, თუ არ გავალთ, გაგვყრიან. გუშინ პოლიციაში წაგვიყვანეს, ხელწერილი დაგვაწერინეს, რომ ძალით შევიჭერით და ჩვენი ნებით გამოვიდეთ. წასასვლელი არსად არ გვაქვს. ალბათ ქუჩაში დავრჩები 6 და 7 წლის ბავშვებით. აქამდე ქირით ვცხოვრობდი და ახლა ამის ფულიც არ მაქვს,“ – განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ფიქრია ფეიქრიშვილმა.

დუშეთის გამგებლის ბესიკ შალაშვილის განცხადებით, ოჯახების გამოსახლების შემდეგ მათ ბედზე გამგეობა იმსჯელებს.

„უკანონოდ არიან შენობაში შეჭრილები, რომელიც გამგეობის ბალანსზეა. ასე მეც წავალ და შევიჭრები სადღაც და ხომ არ შეიძლება. ჩვენ დავაყენეთ საკითხი, რომ ეს ოჯახები უნდა გამოსახლდნენ, აქამდე სად ცხოვრობდნენ? რომ გამოსახლდებიან ვიმსჯელებთ რას მოვუხერხებთ ამ ადამიანებს, ისე არ დარჩება ეგ ხალხი ალბათ,“ – განუცხადა ბესიკ შალაშვილმა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს.

**მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

## „დარიალჰესის“ სათავო ნაგებობის მშენებლობა შეჩერდა

ყაზბეგის რაიონში დარიალი ჰესზე სათავე ნაგებობის მშენებლობა შეჩერებულია, დანარჩენი სამუშაოები კი გრძელდება. როგორც მცხეთა – მთიანეთის სანფორმაციო ცენტრს ყაზბეგის მაჟორიტარმა დეპუტატმა მირიან წიკლაურმა განუცხადა, სანამ სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა საკითხს არ გაარკვევს, ჰესზე სათავე ნაგებობის მშენებლობა არ დაიწყება. ყაზბეგის რაიონში დარიალი ჰესის მშენებლობა შესაძლოა შეჩერდეს. ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრობის კანდიდატმა კახი კალაძემ განაცხადა. „მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობა გაგრძელდება, დიდ ჰესებთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი იყო,“ – განაცხადა კალაძემ. „ქართული ოცნების“ წევრის, გია გაჩეჩილაძის თქმით, ეკოლოგიური თვალსაზრისით საფრთხის შემცველი ჰესების მშენებლობა აღარ გაგრძელდება. „ყველა ჰესი გადაიხედება ეკოლოგიური თვალსაზრისით და იმ ჰესების მშენებლობა, რომლებიც საფრთხის შემცველი იქნება, გაჩერდება,“ – აღნიშნა გია გაჩეჩილაძემ „მეცხრე არხთან“ ინტერვიუში. დარიალის ხეობაში, მდინარე თერგზე, 110 მეგავატი სიმძლავრის დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 2011 წლის სექტემბერში დაიწყო. პროექტი ითვალისწინებს დაახლოებით 8 კმ სიგრძის მონაკვეთზე მდინარის წყლის უდიდესი ნაკადის – 90%-ის – მოქცევას ჯერ სადერივაციო მილსადენში და შემდგომ სადერივაციო გვირაბში. გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ შეფასებით, ჰესის ამ სახით მშენებლობა და ოპერირება დარიალის ხეობას და მის ეკოსისტემას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს, აბსოლუტურად შეიცვლება დარიალის ხეობის ლანდშაფტი; პროექტს ასევე ექნება ძალზე მნიშვნელოვანი შეუქცევადი ზეგავლენა „წითელ წიგნში“ შეტანილ ნაკადულის კალმახზე და მდინარე თერგში მის გაქრობას გამოიწვევს.

**მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ექიმები სამსახურის გარეშე რჩებიან

მერი ნამორაძე

ახალ მინისტრთა კაბინეტიდან ყველაზე შრომატევადი უწყება დავით სერგიენკოს – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ერგო. საზოგადოების კეთილდღეობაზე ორიენტირებული სოციალური პროგრამების გარდა, მის უწყებას შრომითი დავების დარეგულირება თუ უმუშევრობის პრევენციული ღონისძიებების გატარება მოუწევს. ამჯერად უმუშევართა რიგებს შეიძლება ნაძალადევის რაიონის ყოფილი პირველი ბავშვთა პოლიკლინიკის კოლექტივი შეუერთდეს.

პოლიკლინიკა 2000 წლიდან გადაკეთდა შპს სამკურნალო პროფილაქტიკურ ცენტრად, რადგან 14-დან 10 პედიატრი გადამზადდა ოჯახის ექიმად. ემსახურება 0-დან 15 წლამდე რვა ათასამდე ბავშვთა კონტინგენტს. მათ შორის 0-დან 6 წლამდე 2390 ბავშვს. პოლიკლინიკა პრივატიზებულია 2000 წლიდან. როგორც მედპერსონალმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, პრივატიზება თავის დროზე თანამშრომელთა ნების გარეშე მოხდა. მედიკოსები იძულებულნი გახდნენ, თავად ჩართულიყვნენ პრივატიზაციის პროცესში, რადგან შენობა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში იყო შესული. პოლიკლინიკამ პრივატიზებიდან დღემდე შეინარჩუნა სამედიცინო პროფილი.

სამკურნალო ცენტრს პრობლემები მას შემდეგ შეექმნა, რაც სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებულმა სადაზღვევო კომპანია „არქიმედეს გლობალ ჯორჯიამ“ ნაძალადევის რაიონში ყველასთან დადო ხელშეკრულება შპს პირველ პროფილაქტიკურ ცენტრის გარდა. როგორც მედიკოსები ამბობენ, ეს 72 ადამიანის ქუჩაში დარჩენის ტოლფასია, რადგან მხოლოდ შიდა სტანდარტით თავს ვერ გაიტანენ.

**დოდო ჩხეიძე, მოადგილე სამკურნალო დარგში:**

– მოტივად მოიყვანეს ის, რომ ეს იყო ძველი შენობა. მაგრამ კოლექტივი არ არის ამაში დამნაშავე, ორჯერ გადაკეთდა პოლიკლინიკა. მოუხერხებელია, ეს შენობა თანამედროვე ყაიდაზე გადააკეთო, ეს დიდ თანხებს უკავშირდება. მაგრამ შენობა მყარია, გამძლეა, ფართო, ნათელი კაბინეტები აქვს. გვყავს ყველა სპეციალისტი. ვისთანაც დადეს ხელშეკრულება, იმათ არ აქვთ რენტგენის კაბინეტი, არ ჰყავთ ბავშვთა გინეკოლოგი, რაც ერთეულია მთელ ქალაქში. ბავშვთა ორთოპედი მთელ რაიონში მხოლოდ ჩვენ გვყავს, ყველა სპეციალისტი გვყავს, ყველა დასაქმებულია, ჩვენი პოლიკლინიკა ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყო და შენიშვნა არასოდეს მიგვიღია, როცა გვამოწმებდნენ.

***– მაშ ახლა რა მოხდა, რატომ შემოგხედათ ცუდ თვალზე სადაზღვევო კომპანიამ, ყველა სხვა დანარჩენი თანამედროვე შენობაშია განთავსებული?***

– არა, ახალ შენობაში არ არიან. ჩვენც ვერ გავრკვეულვართ, რა მოხდა. უცებ, მოწმენდილ ცაზე მოვიდნენ, გადაიღეს სურათები მაშინ, როცა რემონტი იწყებოდა, ჯერ არ გვქონდა დამონტაჟებული ცენტრალური გათბობა (კრედიტი ავიღეთ და დავამონტაჟეთ), ეს მომენტი გადაიღეს ზაფხულში, რომ არ გვქონდა გათბობა და გვითხრეს, როგორ მოემსახურებით ბავშვებს, როცა არ გაქვთ პირობები. ამის შემდეგ შევხვდით მინისტრს აგვისტოში, ვთხოვეთ, ჩაერთო ჩვენი დაწესებულება სადაზღვევო პროგრამაში. დაგვთანხმდა. ის ორი თვე, რაც უნდა გადმორიცხულიყო ბავშვებზე თანხები, მოგვცეს. ოქტომბრიდან დავრჩით ასე, ყოველგვარი პროგრამის გარეშე.

***– იმ ორ თვეში თანხების მიღება არჩევნებს უკავშირდებოდა?***

**მადონა ხაზარაძე:**

– მთელ პოლიკლინიკებზე ის ორი თვე იმიტომ გაიცა თანხები, რომ მოახლოებული არჩევნების გარდა ყოფილმა მთავრობამ არ გაანაწყენა ხალხი, შემდეგ ვრჩებით ალალ-ბედზე. თუ არ გვექნა დაფინანსება სადაზღვევო კომპანიიდან, ვიქნებით შიდა სტანდარტზე, რითაც არსებობას ვერ შევძლებთ.

***– აცრების ჩატარებას ვეღარ შეძლებთ?***

– აცრების ჩატარებას დააფინანსებენ იანვრამდე. მერე აღარ გვექნება აცრები უფასოდ და პაციენტებს თანდათან დავკარგავთ, რადგან ნაძალადევის რაიონში არ აქვს ხალხს საშუალება გადაიხადოს აცრის საფასური. ვიზიტის თანხის გადახდას ახერხებენ პაციენტები და ამბობენ, რომ ურჩევნიათ ჩვენთან მოსვლა, რადგან მიჩვეულნი არიან, კმაყოფილნი არიან ექიმის მომსახურებით, ასევე ხელმისაწვდომია ტერიტორიულად. ჩვენი პოლიკლინიკის გავლით უნდა მივიდნენ ისინი გადამისამართებულ ოცდამეათე პოლიკლინიკაში, საამისოდ ესაჭიროებათ ორი ტრანსპორტი, რაც დიდ უხერხულობას ქმნის. ჩვენ ტერიტორიულად ძალიან მოსახერხებელ ადგილზე ვართ. ამაში დაგვემოწმება სამინისტროს წარმომადგენელი, რომელიც ერთი თვის განმავლობაში იმყოფებოდა ჩვენთან და ისმენდა მშობელთა გულისწყრომას, რადგან ჩვენ არ მოგვეცა დაზღვევა. პაციენტთა ხელმოწერებიც შეგროვდა ამ პოლიკლინიკის შენარჩუნების მოთხოვნით. ჩვენთვის ძალიან გაუგებარია, რატომ მოხდა ასე, რომ პოლიკლინიკამ, რომელიც მოწინავე გახლდათ ყოველთვის ექიმთა კვალიფიკაციის დონით, ვერ დავიმსახურეთ არქიმედეს დაფინანსება. ვთხოვ ახალ ხელისუფლებას, გადაიხედოს ეს საკითხი და ჩვენც ჩაგვრთოს აღნიშნულ დაზღვევაში.

**შორენა გაჩეჩილაძე, ოჯახის ექიმი:**

– ჩვენთვის ძალიან მოულოდნელი იყო ის, რომ ვერ მოვხვდებოდით სადაზღვევო კომპანიის დაქვემდებარებაში, რადგან არასოდეს არც ერთ უწყებას ჩვენთან პრეტენზია არ ჰქონია. ყოველთვის მოწინავენი ვიყავით. ჩვენ ვემზადებოდით რემონტისთვის და, თუ მაშინ მოვიდოდნენ სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლები, ამასაც გავითვალისწინებდით. მთავარი ის არის, რომ ჩვენი კონტინგენტი ძალიან უკმაყოფილოა. 2000 ბავშვი ხელწამოსაკრავი ხომ არ არის. ამათ ნორმალური მომსახურება სჭირდებათ და ჩვენით არასოდეს ყოფილან უკმაყოფილონი. მოსახლეობას აინტერესებს, რატომ არ დაგვიდეს ჩვენ ხელშეკრულება, იმის გამო, რომ რემონტს ვაკეთებდით? აუცილებლად ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი პირველი დარჩეს ისე, როგორც იყო.

***– სარემონტო სამუშაოების შემდეგ არ დაუკავშირდით სადაზღვევო კომპანიას?***

– რამდენჯერმე დავუკავშირდით, მაგრამ კონკრეტულ პასუხს ვერ გვეუბნებოდნენ, რადგან არ აქვთ მათ მიზეზი იმისა, რომ არ დაგვიდონ ხელშეკრულება.

ახალი ხელისუფლების იმედი გვაქვს, გვპირდებიან, რომ ახალი წლიდან ყველაფერი გაირკვევა, მაგრამ ორ თვეში – ნოემბერ-დეკემბერში თავის შენახვა ძალიან ძნელია. ვითხოვთ, უფრო ადრე რამენაირად შეეწყოს ხელი ჩვენს პოლიკლინიკას.

# ირმა ინაშვილი: „ბედუკაძეს საფრთხე ემუქრება“

გულიკო ბალაძე



**გუშინ მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელმა ირმა ინაშვილმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ის კადრები, რომელმაც მთელი საქართველო შოკში ჩააგდო, არის მისი და მისი ჯგუფის ჟურნალისტური გამოძიების შედეგი.**

**— ეს იყო ძალიან რთული ჟურნალისტური გამოძიება. ჩვენ თავიდან ბოლომდე პირნათლად შევასრულეთ ჩვენი, როგორც ჟურნალისტური, ასევე მოქალაქეობრივი ვალდებულება ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.**

ჩემთან ერთად არიან ადამიანები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ გამოძიებაში. მას შემდეგ, რაც ჩვენ დავასრულეთ ჟურნალისტური გამოძიება, არა მარტო საქართველოში შეიცვალა სიტუაცია, არამედ შეიცვალა ევროსტრუქტურების, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკა სააკაშვილისა და მისი რეჟიმისადმი. ჟურნალისტთა გუნდს ამის მეტის გაკეთება არ შეეძლო იმ ვითარებაში, რა ვითარებაშიც ჩვენ ვმუშაობდით. არც ვაზვიადებ და არც ვაკნინებ ჩვენს როლს, მაგრამ საქართველოს ბოლო წლების ისტორიაში ეს იყო ერთ-ერთი სერიოზული გამოძიება. მე ვწერ წიგნს ჩემს მეგობრებთან და თანამებრძოლებთან ერთად. ეს წიგნი 6 თვეში გამოვა და თქვენ გექნებათ საშუალება, უკვე დოკუმენტურად გაეცნოთ მთელ ამ მასალებს.

ამ ურთულესი ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში მისმა ყველა მონაწილემ მაქსიმალურად დაიცვა საიდუმლოება, რომელსაც ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. კადრების არსებობა მანამდე რომ გამსკდარიყო, ვიდრე ეს კადრები მიაღწევდა ევროსტრუქტურებამდე, გაივლიდა ექსპერტიზას და დაცული იქნებოდა ყველა ის სტრატეგიული საფეხური, რაც ჩვენმა გუნდმა ერთობლივად დავგეგმეთ. სამწუხაროა, რომ დღეს იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ბატონი ვლადიმერ ბედუკაძე და ეს თემაა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მთელ ამ ჟურნალისტურ გამოძიებაში.

ირმა ინაშვილის განცხადებით ბედუკაძის თემა არის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი ჩვენს ურთულეს ჟურნალისტურ გამოძიებაში, რომელიც რამდენიმე ფრაგმენტისა და რამდენიმე ეპიზოდისაგან შედგებოდა.

— თითოეულმა ამ ფრაგმენტმა გადამწყვეტი როლი შეასრულა სააკაშვილის რეჟიმის გატეხვასა და დამარცხებაში. ამ ჟურნალისტური გამოძიების სხვადასხვა ეტაპებზე, რა თქმა უნდა, არა ერთი, ბედუკაძის მიერ მოწოდებული, არამედ კიდევ ორი სხვა წყაროს მიერ მოწოდებული კადრები ფიგურირებს. ეს არის შს სამინისტროს მასალა. ეს არის უმთავრესი ვიდეომასალა.

პრესკონფერენციაზე ირმა ინაშვილთან და სხვებთან ერთად იმყოფებოდა დათა აკობია.

ირმა ინაშვილის თქმით:

— დათა აკობია არის ის ადამიანი, რომელმაც გადაიღო ყველაზე მნიშვნელოვანი კადრები, ე.წ კარანტინის კადრები. დასავლეთის სტრუქტურებში, როდესაც ჩვენ მათთან ვმუშაობდით, ამ კადრებს განსაკუთრებული რეაქცია მოჰყვა იმიტომ, რომ სახეზე იყო სისტემური დანაშაული, კონკრეტული თანამდებობის პირების მონაწილეობით. თუ ერთ შემთხვევაში ჩვენ ვნახეთ, რომ აწამებდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ პატიმრებს და ეს იყო ადამიანის დამცირებისა და ღირსების შემლახავი ფაქტები, ბატონ დათა აკობიას გადაღებულ მასალაში უკვე სისტემის მხილება მოხდა.

ვინ მიაწოდა და როგორ მონაწილეობდნენ შს სამინისტროს წარმომადგენლები ამ ჟურნალისტურ გამოძიებაში? ირმა ინაშვილი ამბობს, რომ ადამიანები, რომლებიც შს სამინისტროში მუშაობდნენ და მათ საგამოძიებო ოპერაციის ჩატარებაში ეხმარებოდნენ, პატრიოტები არიან.

— სამი ტიპის მასალა მოვიდა ჩემთან: ბედუკაძის მიერ გადაღებული კადრები, მასალა, რომელიც მე მომაწოდეს და ბატონ დათა აკობიას გადაღებული კადრები. ჩვენ გვყავდა ჩვენი წყაროები შს სამინისტროში. ეს არის პატრიოტი ხალხი, რომლებიც მართალია მუშაობდნენ რეჟიმის პირობებში, მაგრამ იყვნენ არა რეჟიმის მონები და მსახურები, არამედ ჩვენი საზოგადოებისა და ქვეყნის ერთგული ხალხი. სწორედ ამ წყაროებმა ძალიან ბევრ ეტაპზე გაგვიწიეს დახმარება არა მარტო მასალის მოწოდების თვალსაზრისით, არამედ, საერთოდ, ამ პროექტში. როდესაც იგეგმებოდა ამ გადამლები პირების გაყვანა საზღვარზე, ჩვენ აუცილებლად უნდა გვქონოდა ინფორმაცია, რა ხდებოდა. მიდიოდა თუ არა ამ პირებზე თვალთვალი, ჰქონდა თუ არა სათანადო ორგანოებს ინფორმაცია, რამემ ხომ არ გაჟონა. სწორედ ამ საინფორმაციო დახმარებას გვიწევდნენ შს სამინისტროდან ჩვენი წყაროები. მხოლოდ დაბალი რანგის თანამდებობის პირებზე არ ვსაუბრობ,

ირმა ინაშვილის განცხადებით, სანამ სააკაშვილის რეჟიმი არის საქართველოში შს სამინისტროში მომუშავე მათ წყაროებზე არ ისაუბრებს, რადგან სააკაშვილის რეჟიმი საბოლოოდ ჯერ არ წასულა და პარლამენტშიც არის წარმოდგენილი ნაციონალური მოძრაობა. რეჟიმის საბოლოო დასამარცხებლად ბრძოლა გრძელდება.

ბედუკაძესთან დაკავშირებით ირმა ინაშვილმა ხაზგასმით განაცხადა, რომ მას საფრთხე ემუქრება, რადგან დღეს ის საეჭვო ადამიანების გარემოცვაშია, რომლებიც მასზე გავლენას ახდენენ:

— ვლადიმერ ბედუკაძე, რომლის დამსახურებასაც ამ ჟურნალისტურ გამოძიებაში არანაირად არ ვაკნინებ მე, როგორც ერთ-ერთი მთავარი ჟურნალისტი, რომელიც ამ გამოძიებას აწარმოებდა. მისთვის არასოდეს მიწოდებია ვანო მერაბიშვილის აგენტი. ბატონი ბედუკაძე დღეს იმყოფება საეჭვო ადამიანების გარემოცვაში. შეიძლება ითქვას, რომ ბატონ ბედუკაძეს საფრთხე ემუქრება. ადამიანები, რომლებმაც თავი მოიყარეს ბატონ ბედუკაძის გარშემო, ჩემი ინფორმაციით და ჩემი დაკვირვებით, დაკავშირებული არიან სააკაშვილისა და მერაბიშვილის სტრუქტურებთან.

იმ ადამიანების აღმოცენება ვლადიმერ ბედუკაძის გარშემო, არ არის შემთხვევითი. დღეს ბედუკაძის განცხადებებს და ვინმე ბატონ ჭელიძის, სილაგაძის, ასევე სხვა ადამიანების განცხადებებს, რომლებიც ცილისწამებითა და ტყუილით გვავსებენ ობიექტივის ჟურნალისტებს და ამ საგამოძიებო ჟურნალისტური ოპერაციის ავტორებს, გამიზნულია იმისკენ, რომ მოხდეს ბელგიის სასამართლოდან უმნიშვნელოვანესი სარჩელის გამოტანა.

უპრეცედენტო ფაქტი მოხდა, როდესაც ბელგიის პროკურატურამ მიიღო ადვოკატ ამრაანის სარჩელი.

ეს სარჩელი გულისხმობს პატიმრების წამებაში მონაწილე ყველა დამნაშავე პირის დასჯას, დაწყებული უმაღლესი თანამდებობის პირებიდან, გაგრძელებული სხვა პირებით.

ამ სარჩელში ბატონმა ამრაანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დამნაშავე პირთა შორის ის მოიაზრებს მიხეილ სააკაშვილს, დათა ახალაიას, სხვა ბატონებსა ქალბატონებს. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს უკვე ძველი ხელისუფლებისთვის, მოხდეს ბელგიის სარჩელიდან ბედუკაძის, როგორც მოწმის ჩახსნა.

მთელი ეს კამპანია ერთის მხრივ გამიზნულია იმისათვის, რომ დააკნინონ ჩვენი როლი ამ პროცესებში, მეორე მხრივ სააკაშილის მთავარი ამოცანაა, ის გადარჩეს და პასუხი არ აგოს. არადა, ბრიუსელის სარჩელი ეს არის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი საფუძველი იმისათვის, რომ მოხდეს დამნაშავე პირების გასამართლება.

ირმა ინაშვილის განცხადებით, ვანო მერაბიშვილიც დამნაშავეა, რადგან სწორედ მის დროს ხდებოდა ციხეებში ადამიანების სისტემური წამება.

# ეკა ბესელია: „აუცილებელია 26 მაისის მოვლენების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის შექმნა“



პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატის ეკა ბესელიას განცხადებით, აუცილებელია 26 მაისს განვითარებული მოვლენების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის შექმნა.

როგორც მან გუშინ „მაესტროს“ პრესკლუბში სტუმრობისას განაცხადა, ხელახლა გადასახედი სისხლის სამართლის საქმეების ჩამონათვალში ძალიან ბევრი გამოუძიებელი საქმე შევა.

„საქმეებად, რომელიც დღის წესრიგში პირველ რიგში უნდა დავაყენოთ, გახმაურებული მკვლელობები მიმაჩნია. ბოლომდეა გამოსაძიებელი სანდრო გირგვლიანის საქმე, სადაც დღემდე ვერ გავიგეთ ვინ იყო შემკვეთი და ორგანიზატორი. ისევე, როგორ ზურაბ ვაზაგაშვილის საქმე, რომელზეც პასუხისმგებლობა არავის აუღია“ – განაცხადა ბესელიამ და დასძინა, რომ ასევე, მნიშვნელოვანია ბუტა რობაქიძის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას და გურამ შარაძის საქმეების გამოძიება.

ბესელია პრინციპულს უწოდებს ციხეში გარდაცვლილი ნაწამები პატიმრებისა და პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიების საკითხს.

მისი თქმით, ხელახლა გამოსაძიებელ საქმეთა ჩამონათვალში 2007 წლიდან აქციების დარბევის ორგანიზატორებისა და პასუხისმგებელი პირების საქმეებიც შევა.

„ვფიქრობ, რომ 2011 წლის 26 მაისის მოვლენების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის შექმნა ძალიან პრინციპულია. საგამოძიებო კომისიამ ეს ტვირთიც საკუთარ თავზე უნდა აიღოს. მნიშვნელოვანია 7 ნოემბრის საქმე, ასევე, 15 ივნისის საქმე, როდესაც 99 მოქალაქე სასტიკად სცემეს; 6 მაისის საქმე, როდესაც პოლიციის სამმართველოსთან შეკრებილებს რეზინის ტყვიები ესროლეს და ორმა მათგანმა თვალი დაკარგა“ – განაცხადა ბესელიამ.

ნიუსპრესი

# თბილისის ზოგიერთ ქუჩას ელექტროენერგია შეეზღუდება

დედაქალაქის რამდენიმე ქუჩას დღეს ელექტროენერგია შეეზღუდება.

როგორს „ნიუსპრესს“ კომპანია „თელასიდან“ აცნობეს, შუქი 10-დან 16:00 საათამდე დიღმის მასივის V კვარტალს, ვარკეთილის მასივის VII, VIII, IX კვარტლებს და კალოუბნის ქუჩას, მუხიანის IVა და IVბ მიკრორაიონებს, გლდანის IIIა მიკრორაიონს, ილორის, სარაჯიშვილის და ქერჩის ქუჩას გაეთიშება.

ენერგომომარაგება 10-დან 17:00 საათამდე ქეთევან წამებულის გამზირს, შირაქის და ვაზისუბნის დასახლებას, ყაზბეგისა და ჭავჭავაძის გამზირებს, ნუცუბიძის IV მიკრორაიონს, ატენის და ქავთარაძის ქუჩებს, გლდანის I მიკრორაიონს არ მიეწოდება.

10-დან 18:00 საათამდე ელექტროენერგია ინგოროყვას, ჩაიკოვსკის, იაშვილის და ჭონქაძის ქუჩებს, გურამიშვილის გამზირს, გვაზაურის, ერწოს და ქვიშხეთის ქუჩებს, ასევე, საბურთალოს და საირმის ქუჩებს გაეთიშება.

ნიუსპრესი

# თეატრალური უნივერსიტეტის რექტორად გოგი მარგველაშვილი დასახელდა

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აკადემიურმა საბჭომ ყოფილი რექტორი გიორგი მარგველაშვილი დაასახელა. რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნოშრევან ჩხაიძე კი თანამდებობიდან გადადგა. თუმცა ნოშრევან ჩხაიძემ განაცხადა, რომ აკადემიური საბჭოს სხდომაზე უკანონოდ მიიღეს მისი გადარჩევის შესახებ გადაწყვეტილება. მისი მტკიცებით, მას გადადგომის შესახებ განცხადება არ დაუწერია და ეს მისი მხრიდან უპასუხისმგებლო ნაბიჯი იქნებოდა.

თეატრალურ უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი 15 ოქტომბერს ვნებათაღელვით, საპროტესტო აქციებით და რექტორის თანამდებობიდან გადადგომის მოთხოვნით დაიწყო. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოები ითხოვდნენ, ბათილად ყოფილიყო ცნობილი უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 23 აგვისტოს არჩევნები, რომლის შედეგადაც რექტორის პოსტი ნოშრევან ჩხაიძემ დაიკავა. როგორც ისინი ამტკიცებდნენ, ეს არჩევნები ჩატარდა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის სრულიად დამოუკიდებლად შექმნილი წესებით და თავად წესდება შემუშავებული იყო უკანონოდ, რადგან მასში მონაწილეობა არ მიუღია არც წარმომადგენლობით საბჭოს და არც აკადემიურ საბჭოს.



თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ საკუთარი განცხადება ჟურნალისტებს ნოშრევან ჩხაიძემ პირადად გააცნო. მისი თქმით:

– თეატრალურ უნივერსიტეტში ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩემთვის ამ ფორმატში თეატრალურ უნივერსიტეტში რექტორად მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა.

ამასთანავე თეატრალური უნივერსიტეტის აწ უკვე ყოფილი რექტორი თავის განცხადებაში აღნიშნავს:

– გადადგომის შესახებ განცხადების დაწერა ჩემი მხრიდან უპასუხისმგებლობა იქნებოდა. ბოლო ხანებში ჩემზე ხორციელდება ფსიქოლოგიური ზეწოლა და იყო საგანმანათლებლო პროცესის ჩაშლის მცდელობაც. გარდამავალმა აკადემიურმა საბჭომ, მისივე განცხადებით, მიიღო გადაწყვეტილება რექტორის გადარჩევის შესახებ. საბჭოს ეს გადაწყვეტილება უკანონოა, რაზეც უნივერისტეტის იურისტის მხრიდან საბჭო ინფორმირებული იყო. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ მე განცხადება გადადგომის შესახებ არ დამიწერია, რადგან ვთვლი, რომ ამის გაკეთება იქნებოდა უპასუხისმგებლობა. ამასთან, შეუძლებელია და აღარ ვაპირებ გავაგრძელო გრძელვადიანი თანამშრომლობა გარდამავალ, აკადემიური და წარმომადგენლობის საბჭოებთან, რადგან ისინი არ მაძლევენ სტუდენტების, უნივერსიტეტისა და საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულების შესრულების საშუალებას. ჩემი ვალია უზრუნველვყო, რომ ამ ყველაფერმა ხელი არ შეუშალოს საგანმანათლებლო პროცესს, ასევე უნივერსიტეტისა და სტუდენტების ინტერესებს. აუცილებელია, პროცესები სამართლებრივ ჩარჩოებში დაბრუნდეს და ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მზად ვარ ვითანამშრომლო ყველა მხარესთან.

ნოშრევან ჩხაიძის ამ გადაწყვეტილების მიღებამდე თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს სხდომა ჩატარდა, სადაც უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობა და ის პრეტენზიები განიხილეს, რომელიც სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და საბჭოს წევრებს რექტორთან, ნოშრევან ჩხაიძესთან ჰქონდათ.

როგორც აკადემიური საბჭოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა რეჟისორმა ბუბა ხოტივარმა ჟურნალისტებს განუცხადა:

– ნოშრევან ჩხაიძემ გადადგომის გადაწყვეტილება ჩემთან შეთანხმების საფუძველზე მიიღო და რაიმე ზეწოლას მის მიმართ ადგილი არ ჰქონია.

როგორც თეატრალურ უნივერსიტეტში აცხადებენ, ამ დროისათვის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად ყოფილი რექტორის გოგი მარგველაშვილის კანდიდატურა განიხილებოდა და თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ რექტორის მოვალეობის შემსრულებლად გოგი მარგველაშვილი უკვე ოფიციალურად დაასახელა. ეს განცხადება ჟურნალისტებს აკადემიური საბჭოს წევრებმა სხდომის დასრულებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ გააცნეს.

– აკადემიურ საბჭოს ლეგიტიმური უფლება აქვს როგორც რექტორის დანიშვნის, ასევე მისი გადარჩევისა და ეს ხდება აკადემიური საბჭოს წესდების მიხედვით. კულტურის სამინისტროს მიერ შემუშავებულ წესდებაშიც ნათლად წერია, რომ აკადემიურ საბჭოს აქვს სრული უფლება, გადაირჩიოს რექტორი ხმათა უმრავლესობით. ამიტომაც ჩვენ შევასრულეთ ჩვენი უფლებამოვალეობა და ავირჩიეთ რექტორის მოვალეობის შემსრულებლად გოგი მარგველაშვილი. როგორ მოხდება ხელისუფლების გადაცემა მასსა და ნოშრევან ჩხაიძეს შორის, ეს უკვე მათი გასარკვევია, – აღნიშნა აკადემიური საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ბუბა ხოტივარმა.

# ფოლკლორის ცენტრი ეროვნული პრემიით საუკეთესოებს დააჯილდოვებს

ეკა ირემაშვილი

22 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართება ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატთა ყოველწლიური დაჯილდოების მეხუთე საზეიმო ცერემონია, რომლის ორგანიზატორიც საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრია. დაჯილდოების საზეიმო ცერემონია შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში შედგება.

– ეს დღე ფოლკლორის ეროვნული პრემიის ისტორიაში ერთგვარი საიუბილეო თარიღიცაა. ფოლკლორის ეროვნული პრემიის მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილებით, მეხუთედ გამოვლინდება „ფოლკლორის ეროვნული პრემიისა“ და „ფოლკლორის სპეციალური ეროვნული პრემიის“ ლაურეატები. წინა წლებთან შედარებით წელს „ფოლკლორის ეროვნულ პრემიაში“ ცვლილებებია: სხვადასხვა ნომინაციასა და სფეროში შერჩეულია ლაურეატობის რამდენიმე კანდიდატი, რომელთა ვინაობაც უშუალოდ დაჯილდოვების დროს გაცხადდება, – ნათქვამია ფოლკლორის ცენტრის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ფოლკლორის ეროვნული პრემია“ გაიცემა სხვადასხვა ნომინაციაში. საშემსრულებლო შემოქმედებით სფეროში გაიცემა პრემია – ხალხური სიმღერის შემსრულებელი, ლოტბარი, ხალხური სიმღერის ანსამბლი, სახალხო მთქმელი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატი, ქორეოგრაფიული ანსამბლი.

სამეცნიერო კვლევით სფეროში გაიცემა პრემია – მეცნიერი-მკვლევარი ბოლო წლებში შექმნილი მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევებისა და გამოცემებისათვის.

წარჩინებული ახალგაზრდებიდან გამოვლინდება ორი სტიპენდიანტი. მათ გადაეცემათ ფულადი პრემია.

ლაურეატებს გამოავლენენ და პრემიას გადასცემენ საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები, კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები.

ფოლკლორის ცენტრი გამოფენის გახსნამდე ცენტრის ცოცხალ მემატიანეს, ღვაწლმოსილ ფოლკლორისტს, ხელოვნების დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენის კავალერს, შესანიშნავ პიროვნებას – თინათინ ლობჟანიძეს 90 წლის იუბილეს ულოცავს.

– ქალბატონი თინა 1947 წლიდან 2004 წლამდე უერთგულესი და უმამაცესი მცველი იყო ხალხური საუნჯისა. ეს მშვენიერი, სათნო ქალბატონი იმ სასტიკ, ქარცეცხლიან კომუნისტურ ეპოქაში ათას კომისია-რევიზიას მოხერხებულად უმალავდა ქართული საგალობლების უნიკალურ ხელნაწერებსა თუ ვახტანგ კოტეტიშვილისა და სხვა რეპრესირებულ ფოლკლორისტთა მიერ ჩაწერილ იშვიათ ფოლკლორულ ნიმუშებს. მისმა თავდადებამ ეს სიმდიდრე ჩვენამდე მოიტანა. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი უსურვებს ქალბატონ თინას ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, – ნათქვამია ფოლკლორის ცენტრის მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

იუბილეს მილოცვის გარდა, ფოლკლორის ცენტრი პოეტ ერეკლე სალლიანის დედის გვაშაყან კვიციანის გარდაცვალების მწუხარებას იზიარებს:

– გარდაიცვალა გვაშაყან კვიციანი, სვანეთსა და მთელ საქართველოში გვაშაყანის სახელით რომ იცნობდნენ და ახსენებდნენ. ასეთი რამ ერთეულთა და რჩეულთა ხვედრია. ქართულ ხალხურ სიმღერას ერთი ხმა გამოაკლდა, სვანეთს – დედაბოძი – პოეზიის, მუსიკის, სიმღერის, ცეკვის, ტრადიციის, ადათის, სტუმარ-მასპინძლობისა და მეგობრობის განმასახიერებელი. ერეკლე სალლიანს დედა გარდაეცვალა – მთელი სვანეთის დედად მიჩნეული, „სავსე ქართული პატიოსნებით“. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი თანაუგრძნობს სალლიანების ოჯახს, ქართული ხალხური (სვანური) სიმღერის ოსტატებს, მოყვარულებსა და დამფასებლებს, – აცხადებენ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში.

# გამიჯნეთ კულტურა პოლიტიკისგან!

ეკა ირემაშვილი

„გამიჯნეთ კულტურა პოლიტიკისგან!“ – ასეთი გზავნილია ჩადებული ღია წერილში, რომლითაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრობის კანდიდატს მწერალ გურამ ოდიშარიას და ბიძინა ივანიშვილს საზოგადოების ნაწილი მიმართავს. ღია წერილს „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„ვითვალისწინებთ რა ქვეყანაში მომხდარ და მიმდინარე მოვლენებს, საჭიროდ ჩავთვალეთ ამთავითვე მოგმართოთ თხოვნით, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოთ კადრების შერჩევას, რომელიც გახდება კულტურის პოლიტიკის განსაზღვრის წინაპირობა. მოგეხსენებათ, კულტურა არის ის მთავარი ქვაკუთხედი, რითიც ერის იდენტიფიკაცია ხდება. კულტურა გვსაზღვრავს და გვადგენს, როგორც ერს. ჩვენი სურვილი, უპირველეს ყოვლისა, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მიღებულმა არასასურველმა გამოცდილებამ განაპირობა: რომ არ გავიმეოროთ იგივე შეცდომა, რაც წინა ხელისუფლებამ დაუშვა, როდესაც კულტურის სამინისტრო კადრების შერჩევისას პრიორიტეტს ანიჭებდა პარტიულ ერთგულებას და არა პროფესიონალიზმს. ამის შედეგად კი მივიღეთ გაუცხოება კულტურის სამინისტროს, ხელოვანსა და საზოგადოებას შორის. გთხოვთ, აქედანვე გავმიჯნოთ კულტურა და პოლიტიკა ერთმანეთისგან. კულტურას უთუოდ უნდა ჰქონდეს თავისი პოლიტიკა, მაგრამ იგი არ უნდა იყოს პოლიტიზებული, როგორც წინა ხელისუფლებ(ებ)ის დროს. სახელოვნებო სფეროს ვერტიკალი არ უნდა იყოს ერთი კაცის ან ერთი ელიტური ჯგუფის ინტერესს მორგებული და ერთ რომელიმე სფეროზე კონცენტრირებული. სამინისტროს დარგობრივი მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, სრულად ვაცნობიერებთ მინისტრის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და სირთულეებს, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, უახლოეს პერიოდში განხორციელდეს კონსულტაციები ამავე დარგებში მომუშავე საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კულტურის ამა თუ იმ სფეროში მოღვაწე პროფესიონალებთან, რომლებთან კონსულტაციის შედეგად განისაზღვრება და ჩამოყალიბდება კულტურის პოლიტიკა, რაც, სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში არასდროს ყოფილა მკაფიოდ არტიკულირებული. ეს კი აუცილებელია იმისთვის, რომ არა მხოლოდ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა იყოს დაცული და შენარჩუნებული, არამედ შეიქმნას თანამედროვე ხელოვნების განვითარების პერსპექტივა“.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

• ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის გაჩეჩა, საბნების განახლება. მოგემსახურებათ პროფესიონალი მკერავი. შემოგთავაზებთ ქსოვილების ფართო არჩევანს. ტელ: 235-15-96.

• იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

• წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

• ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

• იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

• მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82 ლამარა თოდუა.

• ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

• იყიდება! ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის წიწვოვანი და ფოთლოვან და დეკორატიული მცენარეების ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. გაგიფორმებთ დეკორატიულ კუთხეებს. ტელ: 236-28-78; 599-15-67-28.

• ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბრონაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სერჟიო ბენატი: „პირველი ადგილისკენ გეგმაზომიერად მივდიოდით“

შესაძლოა, ჩვენში ბევრს ფუტსალი არაპოპულარულ სპორტის სახეობად მოეჩვენოს, თუმცა ევროპაში საკმაო პოპულარობით სარგებლობს და ამის დასტური უეფას ვებგვერდია, რომელიც საკმაოდ დიდ ნაწილს უთმობს სპორტის ამ სახეობას.

ჩვენში დაინტერესება ბოლო დროს „იბერია სტარის“ მიერ მოპოვებულმა წარმატებამ დიდწილად განაპირობა. როგორც უკვე ვიუწყებოდით, უეფა-ს ფუტსალის თასის 2012-13 წლების „ოთხთა ფინალში“ საქართველოს ჩემპიონმა „იბერია სტარმა“, ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა, ესპანურმა „ბარსელონამ“, შარშანდელმა ფინალისტმა მოსკოვის „დინამომ“ და შეჯიბრის დასკვნითი ეტაპის ოთხზის მონაწილე ყაზახურმა „კაირატმა“ გააღწიეს.

თუ ვინ იქნება „ოთხთა ფინალის“ მასპინძელი, სავარაუდოდ, იანვარში გაირკვევა და შეგახსენებთ, რომ ამ საპატიო მისიისთვის თბილისი საკმაოდ რეალური კანდიდატია. ტურნირის კენჭისყრა მარტში შედგება, თავად ნახევარფინალური შეხვედრები მომავალი წლის 25 ან 26 აპრილს ჩატარდება, მე-3 ადგილისთვის მატჩი და ფინალი კი – 27 ან 28 აპრილს.

იქამდე დიდი დროა, თუმცა მომავალი ტურნირის მონაწილეთა წარმომადგენლებმა ელიტ-რაუნდის ბატალიების შესახებ კომენტარები უკვე გააკეთეს, რომელიც უეფა-ს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

**მარკ კარმონა, „ბარსელონის“ მთავარი მწვრთნელი:**

– ევროპის საუკეთესო ოთხ კლუბში ზედიზედ მეორედ გავაღწიეთ და ჩემი გუნდი მხოლოდ ქების ღირსია. ელიტ რაუნდის ჯგუფში სლოვენიურ „ლიტიასთან“ ბოლო მატჩი საკმაოდ რთული გამოდგა. მასპინძლები შესანიშნავად თამაშობდნენ, მაგრამ ჩვენთვის ეს მოულოდნელობა არ ყოფილა. სლოვენიელებს დამატებითი ენერგია გულშემატკივრებმაც შემატეს. გამარჯვებისთვის ბოლომდე დავიხარჯეთ და ვთვლი, რომ ჯგუფში პირველი ადგილი დამსახურებულად დავიკავეთ.

**არი სანტოსი, „ბარსელონის“ ფეხბურთელი:**

– ჩვენი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, რომ „ბარსელონა“ იმავე პიკზეა, რომელზეც შარშან, ჩვენს ტრიუმფალურ სეზონში ვიმყოფებოდით. სლოვენიაში ჩატარებულ სამ მატჩში მხოლოდ 1 გოლი გავუშვით. მინდა, „ლიტიას“ ფეხბურთელებიც შევაქო, რომელთაც დასკვნით შეხვედრაში ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწიეს.

**ფაუსტინო პერესი, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:**

– მურსიას“ თამაშის ყველა კომპონენტში ვაჯობეთ. ფეხბურთელებმა მოახერხეს და ქომაგებისთვის, რომლებიც მასპინძლებს გულმხურვალედ უჭერდნენ მხარს, განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევიათ. გაშვებული გოლის შემდეგ ჩვენ უფრო დიდი მონდომებით შევუტიეთ. ძალიან კმაყოფილი ვარ გუნდის, რომელიც დისციპლინირებულად ირჯებოდა და მატჩში გარდატეხის შეტანაც ამის ხარჯზე მოვახერხეთ. მინდა, ფეხბურთელებს მივულოცო. მათ ხომ დასახულ მიზანს მიაღწიეს.

**გენადი გარაგულია, „დინამოს“ მეკარე:**

– „მურსიასთან“ პირველი ტაიმი ცოტა ნერვულად დავიწყეთ და გოლიც გავუშვით, თუმცა, შემდეგ მომენტების შექმნა მოვახერხეთ და თამაში საჩვენოდ შემოვატრიალეთ. გუსტავოს გაძევების შემდეგ უმცირესობაში დავრჩით, მაგრამ გავუძელით. რთული შეხვედრა იყო და მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქეთ, როდესაც საფინალო სასტვენი გაისმა. მანამდე მოედანზე წარმოუდგენელი დაძაბულობა სუფევდა, ქომაგები ხომ „მურსიას“ მხოლოდ შეტევისკენ მოუწოდებდნენ. ვფიქრობ, ეს მატჩი მთელი ცხოვრება მემახსოვრება.

**ჟოაო ბარბოზა, კაირატის მთავარი მწვრთნელი:**

– საერთო აზრით, ელიტ-რაუნდში ყველაზე სუსტი ჯგუფი გვერგო და ამით ძალიან გაგვიმართლა. ალბათ, გარკვეულწილად, ჩვენ გამოკვეთილი ფავორიტები ვიყავით, თუმცა, სუსტი არც სხვა გუნდები ყოფილან. „სლოვ-მატიკთან“, „პრუდიმთან“ და „ეკონომაცთან“ მატჩები იოლი არ გამოდგა. სხვა საქმეა, რომ „კაირატმა“ დასახული გეგმა შეასრულა და ყველა შეხვედრა მოიგო. ახლა, გაცილებით რთული ეტაპი გველის, თუმცა, იმ გამოცდილების იმედი გვაქვს, რომელიც კლუბმა დააგროვა და თავის სიტყვას ფინალურ ეტაპზეც იტყვის. მოსამზადებლად საკმაო დრო გვაქვს და დიდი სამუშაო უნდა გავწიოთ. „ბარსელონა“ და „დინამო“ საყოველთაოდ აღიარებული გრანდები არიან. ამ გუნდებს უეფა-ს თასი უკვე მოგებული აქვთ, ჩვენ კი ამ მიზანს ჯერაც ვერ ვუწიეთ და საუკეთესო შედეგად მე-3 ადგილი გვრჩება. რაც შეეხება „იბერია სტარს“, საქართველოს ჩემპიონმა ჯგუფში „ბენფიკას“, „ლუპარენსეს“ და „დიორ ეტოს“ აჯობა, ეს კი ბევრ რამეზე მეტყველებს.

**სერჟიო ბენატი, „იბერია სტარის“ მთავარი მწვრთნელი:**

– „ბენფიკას“ სახით უძლიერესი მეტოქე გვყავდა. როდესაც ანგარიში 4:4 გახდა, ალბათ, ბევრი ფიქრობდა, რომ შემდეგ ეტაპზე პორტუგალიური კლუბი გააღწევდა, თუმცა,“ „იბერია სტარი“ ძლიერია როგორც ტექნიკური, ასევე ფსიქოლოგიური კუთხით. ჩვენ „ბენფიკას“ დასამარცხებლად მზად ვიყავით. რთული მატჩი იყო „დიორთანაც“. მათ ჩინებული მწვრთნელი ჰყავთ, მოთამაშეთა უმრავლესობამ კი ფუტსალში პირველი ნაბიჯები ესპანეთში გადადგა. უნგრეთის ჩემპიონთან მატჩში მხოლოდ ფრეს გამოვრჩით, თუმცა, მჯერა, რომ შემდეგ შეხვედრაში გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. იტალიურ „ლუპარენსესთან“ დიდი ანგარიშით გამარჯვებამ კი გუნდს თვითრწმენა შემატა. ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ პირველი ადგილის დაკავება შეგვეძლო და ყოველი მატჩისთვის გეგმაზომიერად ვემზადებოდით.

**გიორგი ალთუნაშვილი, „იბერია სტარის“ კაპიტანი:**

– მინდა, ჩვენს გულშემატკივრებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადავუხადო და მათ ეს დიდი წარმატება მივულოცო. არც კი ვიცი, რა უნდა ვთქვა – ემოციებით ვარ აღვსილი! ტურნირის დაწყებამდე, გადავწყვიტეთ, თითოეულ მატჩს ისე მივდგომოდით, როგორც ფინალს. ასეც მოხდა – ყველაფერი დასკვნითი შეხვედრის ბოლო წამებზე გადაწყდა. „იბერია სტარი“ ფინალურ სტადიაზე თამაშთან ორჯერ ძალიან ახლოს იყო, მესამე ჯერზე კი მიზანს მივაღწიეთ.



# ნონა გაფრინდაშვილი: „პირველი ჩემპიონობა საოცარი განცდა იყო“

როგორც უკვე ვწერდით, 17 ოქტომბერს 50 წელი შესრულდა, რაც ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო ტიტულისთვის ბრძოლაში მოსკოვში გამართულ მატჩში ნონა გაფრინდაშვილმა იმჟამინდელი ჩემპიონი ელიზავეტა ბიკოვა დაამარცხა და პლანეტის უძლიერესი მოჭადრაკის ტიტული პირველად მოიპოვა. მას შემდეგ ნონამ კიდევ ოთხჯერ მოახერხა იმავეს გაკეთება. თუმცა მისი სპორტული კარიერა მარტო ამით არ მთავრდება: 11-გზის ოლიმპიური ჩემპიონი, ქალთა შორის პირველი საჭადრაკო ოსკარის მფლობელი, მე-20 საუკუნის საუკეთესო ქართველი სპორტსმენი ქალი, ვაჟთა შორის პირველი საერთაშორისო დიდოსტატი ქალი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი.

ამ ყველაფრის შემდეგ რთული იყო, მისი წარმატება არ დაფასებულიყო, მით უფრო, რომ ბოლო პერიოდში ნონას ყურადღება აკლდა. ამის მიზეზი მარტივია – ის არსებული წყობილების წინააღმდეგ იბრძოდა და შარშან ამის გამო 70 წლის იუბილეზეც კი უარი განაცხადა. თუმცა, სასტუმრო „რედისონ ბლუს“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ნონას საიუბილეო საღამო, რომელიც მის პირველ დიდ გამარჯვებას მიეძღვნა და კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის, საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატ ბიძინა ივანიშვილის მიერ იყო დაფინანსებული.

ივანიშვილთან და მის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძესთან ერთად საიუბილეო საღამოს მომავალი პარლამენტის წევრები, სპორტის მომავალი მინისტრი ლევან ყიფიანი, ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები ესწრებოდნენ.

საიუბილეო საღამოს ცნობილი ქართველი მსახიობი, კინომსახიობთა თეატრის წევრი ნინელი ჭანკვეტაძე უძღვებოდა.

თავდაპირველად საკონფერენციო დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას დოკუმენტური ფილმი „ჩვენი ნონა“ უჩვენეს, რომელიც სწორედ ნონა გაფრინდაშვილისა და ელიზავეტა ბიკოვას 1962 წლის მატჩს ეძღვნება. ფილმის დასრულების შემდეგ კი ტრიბუნა გამომსვლელებმა დაიკავეს.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– 6 წლის ვიყავი, ჩვენი ნონა მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა. ამ ინფორმაციამ მოაღწია საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილამდეც, სადაც დავიბადე და ბავშვობა გავატარე. ქალბატონმა ნონამ საქართველოს ჭადრაკის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა. ჩვენ განებივრებულები ვართ დიდი ჩემპიონებით, მაგრამ იშვიათად მეგულება სპორტსმენი, რომელსაც მსოფლიოში ისე გაეთქვას სახელი, როგორც ნონა გაფრინდაშვილს. ის ჩვენი ქვეყნის ლეგენდად იქცა. დღეს ბედნიერად მიმაჩნია თავი, რადგან ორი სახელოვანი ქალბატონის – ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის გვერდით ვიჯექი. ამ პიროვნებებმა ქართული სპორტის მატიანეში ეპოქები შექმნეს. ქალბატონო ნონა, პროფესიონალი მოჭადრაკე არ ვარ, მაგრამ თუ ერთობლივი თამაშების სეანსს ჩაატარებთ 50-70 მონაწილესთან, სერიოზულ წინააღმდეგობას გაგიწევთ. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: პოლიტიკაში შემთხვევით მოვხვდი და არ ვიცი, როდემდე დავრჩები. მე და ქალბატონი ნონა ვერ შევთანხმდით, თუ რა ფორმით შეგვეცვალა ხელისუფლება. ამ შემთხვევაში ჩემმა ვარიანტმა გაამართლა და მთავრობაში არჩევნების გზით მოვედით... თუმცა, ჩვენმა სახელოვანმა მამულიშვილმა ქართულ პოლიტიკაში შემოიტანა ისეთი სიმბოლოები, როგორებიცაა წესიერება, პატიოსნება, გულწრფელობა, რაც თითოეული ჩვენგანისთვის ყოველთვის მისაბაძად დარჩება. ბედნიერია ერი, რომელსაც ისეთი შვილი ჰყავს, როგორიც ნონა გაფრინდაშვილია. ამიტომ მთელი საქართველოს სახელით ვულოცავ ქალბატონ ნონას მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებიდან 50 წლისთავს. ეს მთელი ქვეყნის იუბილეცაა. ვუსურვებ ქალბატონ ნონას ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ყოველივე კარგს ცხოვრებაში“.

**გია გიორგაძე, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი:**

– ქალბატონმა ნონამ ჭადრაკში სათავე დაუდო ქართველ მანდილოსანთა 30-წლიან ბატონობას. ჩვენთვის მართლაც ისტორიული დღეა 1962 წლის 17 ნოემბერი არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი ქალი გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, არამედ ქალბატონმა ნონამ იმ გამარჯვებით ქართული ჭადრაკის მდიდარ ტრადიციას ჩაუყარა მყარი საფუძველი. სწორედ მან გაუკვალა გზა მწვერვალებისკენ ჩვენს სახელოვან მაია ჩიბურდანიძეს, ნანა ალექსანდრიას, ნინო გურიელს, ზურაბ აზმაიფარაშვილს და ბევრ სხვასაც.

მარტო ის რად ღირს, რომ სამი ათეული წლის განმავლობაში მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინი საქართველოს საზღვრებს არ გასცილებია. აღსანიშნავია, რომ ქალთა შორის ჭადრაკის გვირგვინის ბედი თბილისში, ილია ჭავჭავაძის სახელობის პროსპექტზე წყდებოდა, სადაც ნონა და ასევე 5-გზის მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე ცხოვრობენ. ნონას დაბადებიდან 70 წელი, შარშან, 2011 წელს შეუსრულდა, მაგრამ იუბილეს აღნიშვნა არ ისურვა. იბრძვის როგორც ჭადრაკში, ისე ცხოვრებაში. იმდენად უყვარს წიგნების კითხვა, რომ მის გარეშე საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის დროსაც ვერ ძლებს და თან დააქვს. მომავალში, ტურნირებზე წიგნები რომ აღარ ატაროს, ჭადრაკის ფედერაცია ქალბატონ ნონას, რომელიც ამ დღეებში სენიორების მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრება, „აიპოდით“ აჯილდოებს.

**მაია ჩიბურდანიძე, მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონი:**

– ნონა რომ არ ყოფილიყო, მოჭადრაკე არც მე ვიქნებოდი. ორივე მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონები ვართ, ორივე ვთამაშობდით ვაჟთა შორის, ორივეს გვაქვს მოპოვებული საჭადრაკო ოსკარი, მაგრამ ნონას ჩემზე ორით მეტი, ოლიმპიადა აქვს მოგებული – 11-ჯერ. ნონას უამრავი დადებითი თვისება აქვს, მათ შორის, გულწრფელობა, ერთგულება, გამარჯვების ჟინი, მაქსიმალიზმი და სხვა. ნონას დაფასება, ქართული ჭადრაკის დაფასებაა. მახსოვს, ერთ დიდ ტურნირზე მან 13-ივე პარტია მოიგო. არადა, პირველობა სამი ტურით ადრე ჰქონდა განაღდებული. ნონა გაფრინდაშვილი ჩვენი ერის სიამაყეა, ჩვენი ქვეყნის სახელი მან საერთაშორისო ორბიტაზე გაიტანა.

**ზურაბ აზმაიფარაშვილი, საერთაშორისო დიდოსტატი, ევროპის ჩემპიონი:**

– ნონას ხელში გავიზარდე. ისე მოხდა, რომ კოლეგები გავხდით, ქართული ჭადრაკის სამყაროში იდეების ჭიდილისას, მოვახერხეთ და სხვადასხვა მხარეს მყოფი მოჭადრაკეები გავაერთიანეთ – 2000 წელს, ნონა ფედერაციის პირველი, ხოლო მე, თანაპრეზიდენტი გავხდი. უკვე მოწიფული და საკმაოდ ძლიერი დიდოსტატი ვიყავი, ქალბატონ ნონას გაპაექრება რომ შევბედე. დავმარცხდი, რამაც თავმოყვარეობაზე იმოქმედა. შვიდი წლის შემდეგ პალმა დე მალიორკაზე ვცადე რევანშის აღება და ისევ კრახი განვიცადე. არადა, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი აქტიურ ჭადრაკს ჩამოშორებული იყო. მერე იყო, რომ ევროპის ჩემპიონის ტიტული რომ მოვიპოვე და ეს წარმატება სწორედ ქალბატონი ნონას დამსახურებაა.

**ლევან ყიფიანი:**

– ამ საღამოზე სიტყვით გამოსვლისთვის არ მოვმზადებულვარ. არჩევნების დროს ქალბატონი ნონა ერთ-ერთი იმ სპორტსმენთაგანი იყო, რომელსაც მე და ჩემი მეგობრები რჩევას ვეკითხებოდით. 30 წელიწადია, ქალბატონი ნონას ვაჟთან, დათოსთან ვმეგობრობ. რამდენჯერმე მოინდომა, ჭადრაკისკენ გადავეხარე, მაგრამ ფეხბურთის სიყვარული ჩემში უფრო ძლიერი აღმოჩნდა, მიმიხვდებით, რატომაც. ვიცი, რომ ბოლო წლებში ქალბატონ ნონას ბევრი ტკივილი მიაყენეს. ამიტომაც უარი თქვა თავის 70 წლის იუბილეს აღნიშვნაზე. მოხარული ვარ, რომ დღეს საშუალება მოგვეცა, ლაღად აღვნიშნოთ მისი მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვების 50 წლისთავი. ქალბატონო ნონა, თქვენი მხარდაჭერის იმედი მომავალშიც გვაქვს. თქვენ ის ქალბატონი ხართ, რომელსაც ჭადრაკის მეფის გვირგვინი ეკუთვნის. ამ დღეებში ნონაზე ბედნიერს ვერ ნახავთ. მომავალში ჩვენ არავინ გამოგვრჩება და ყველა ვეტერან სპორტსმენს მოვეფერებით.

**ვაჟა შუბლაძე, ჭადრაკის ფედერაციის ექსპრეზიდენტი:**

– ჭადრაკის ფედერაციას 1993-98 წლებში ვხელმძღვანელობდი. 1996 წლის ოლიმპიადაზე ჩვენმა ქალბატონებმა პირველი, ხოლო ვაჟებმა მე-5 ადგილი დაიკავეს. შევაჯამეთ შედეგები და მთლიანობაში პირველ ადგილზე გავედით. შემდეგ დამებადა იდეა, ქალთა და ვაჟთა შორის ერთობლივი, საუკეთესო შედეგის მქონე ქვეყნისთვის ნონას სახელობის თასი დაგვეწესებინა. ჩვენს მიერ წამოყენებული იდეა ფიდემ 1997 წლის 7 სექტემბერს დაამტკიცა, ნონას თასი დღესაც თამაშდება და მომავალშიც გათამაშდება. სპორტის სახეობების საერთაშორისო ფედერაციების მიერ დაწესებულ ტურნირებს შორის, ნონას თასი ერთადერთია, რომელიც ქართველი სპორტსმენის სახელს ატარებს.

**ნონა გაფრინდაშვილი:**

– მოგესალმებით ბატონო ბიძინა, მოგესალმებით ყველას. 1 ოქტომბერი რომ არ ყოფილიყო, ეს აღნიშვნა არ იქნებოდა. მრავალშვილიან ოჯახში გავიზარდე და ჩვენს ოჯახში სხვადასხვა სახის დღეობებს ხშირად აღვნიშნავდით. არც ჩემი, 70 წლის იუბილეს აღნიშვნა გაგვიჭირდებოდა, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, მიზანშეწონილად არ ჩავთვალე. მეშინოდა, რომ აწ უკვე ყოფილი ხელისუფლება პოზიციებს სისხლის გარეშე არ დათმობდა. ბატონო ბიძინა, თქვენ გვაიმედებდით, რომ ხელისუფლებაში სისხლის გარეშე მიხვიდოდით. სასიხარულოდ, ჩემი ვარაუდი არ გამართლდა და არჩევნებმა უსისხლოდ ჩაიარა. მაინც მგონია, რომ წინ კიდევ ბევრი წინააღმდეგობა იქნება, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდება. რაც შეეხება 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გამარჯვებას, ენით აუწერელი განცდა იყო. მოსკოვიდან მატარებლით ვიმგზავრეთ. საქართველოს ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ მატარებელი ყველგან ჩერდებოდა. 2 დღე არ გვიძინია. ყველა სადგურზე მიწევდა ხალხთან შეხვედრა. საოცარი შეხვედრა მოგვიწყვეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. მას შემდეგ კიდევ 4-ჯერ გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ ასეთი განცდა აღარ ყოფილა. დიდი მადლობა დღევანდელი საღამოსთვის.

## შედეგები

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **მჩ-2014. შესარჩევი ეტაპი** | |
| **ევროპა** | |
| პოლონეთი-ინგლისი | 1:1 |
| **ამხანაგური მატჩი (21)** | |
| მაკედონია-ჩერნოგორია | 1:0 |
| **აშშ. მლს** | |
| სიეტლი-სოლტ ლეიკი | 0:0 |
| **ბრაზილია. სერია ა** | |
| ბაია პალმეირასი | 0:1 |
| ინტერნასიონალი-ფიგეირენსე | 2:3 |
| კურიტიბა-ნაუტიკუ | 2:1 |
| ფლუმინენსე-გრემიო | 2:2 |
| კრუზეირო-კორინთიანსი | 2:0 |
| პორტუგეზა-ფლამენგო | 0:0 |
| სანტოსი-ატლეტიკო(მ) | 2:2 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ატპ. ვენა. პაირი** | |
| ფონინი-იანგი | 6:7;3:6 |
| ლაკო-ტიმი | 6:7;3:6 |
| მელცერი-მიულერი | 3;6;6:3;6:7 |
| დელ პოტრო-ბრანდსი | 6;7;7;6;7:6 |
| გულბისი-დევერმანი | 7:6;6:3 |
| **ატპ. სტოკჰოლმი. პაირი** | |
| ნიემინენი-პიუიტი | 6:7;6:2;4:6 |
| იუჟნი-როსენჰოლმი | 6:0;6:2 |
| **ვტა. ლუქსემბურგი. პაირი** | |
| პრადეცკა-ბეკი | 6:1;6:1 |
| ბერტენსი-კეტავონგი | 2:6;2;6 |
| დუშევინა-პერვაკი | 3:6;6:7 |
| პეტკოვიჩი-ბლანკო | 4:6;6:2;6:1 |
| **ვტა. მოსკოვი. პაირი** | |
| ბარტოლი-არვიდსონი | 3:6;0:6 |
| ციბულკოვა-პირონკოვა | 6:2;6:3 |
| ვოზნიაცკი-რადვანსკა ა. | 6:1;6:3 |
| ივანოვიჩი-სოლოვიოვა | 6:1;6:4 |

# ანდერს ფოგ რასმუსენი: „2014 წლიდან ნატო ავღანეთის სამხედრო ძალებს წვრთნებითა და ინსტრუქტაჟით დაეხმარება“

2014 წლიდან ნატო ავღანეთის სამხედრო ძალებს წვრთნებითა და ინსტრუქტაჟით დაეხმარება, – ამის შესახებ ალიანსის გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა, ავღანეთში ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსთან ერთად ვიზიტისას განაცხადა.



ნატო-ს დელეგაცია პრეზიდენტ ჰამიდ კარზაის, ავღანეთში ნატო-ს ჯარების მთავარსარდალ ჯონ ალენსა და ავღანეთის სამხედრო ძალების მაღალჩინოსნებს ხვდება.

„მოვუწოდებ საერთაშორისო თანამეგობრობას, მომავალშიც გაუწიოს დახმარება ავღანეთს. ჩვენი მიზანია, ავღანეთი ფეხზე წამოდგეს, მაგრამ იგი ამას ჩვენი დახმარების გარეშე ვერ შეძლებს“, – განაცხადა რასმუსენმა.

მისივე თქმით, 2014 წელს, როდესაც ნატო-ს შეიარაღებული ძალები ავღანეთს დატოვებენ, ალიანსი ავღანეთში ახალი მისიის წამოწყებას გეგმავს, რომლის ფარგლებშიც ნატო ავღანეთის სამხედრო ძალებს წვრთნებითა და ინსტრუქტაჟით დაეხმარება.

„მჯერა, რომ 2014 წლისთვის ავღანეთის უშიშროების ძალებს შეეძლებათ, საკუთარ თავზე აილონ ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ჩვენ კი განვაგრძობთ საწვრთნელ პროგრამებს, რათა კიდევ უფრო გავზარდოთ ავღანეთის უსაფრთხოების ძალების შესაძლებლობები“, – აღნიშნა რასმუსენმა.

შეგახსენებთ, რომ რასმუსენის ვიზიტამდე ავღანეთის აღმოსავლეთ რეგიონში სამხედრო ალიანსის ბაზას ისევ თავს დაესხნენ. სატვირთო ავტომანქანის აფეთქება ავღანეთის არმიისა და ალიანსის ერთობლივ ბაზაზე მოხდა.

აფეთქებაზე პასუხისმგებლობას თალიბების დაჯგუფება იღებს.

დაიჭრა რამდენიმე ავღანელი ჯარისკაცი, სავარაუდოდ, მსხვერპლი არ არის.

სამხედრო ალიანსის პრესსამსახურის ინფორმაციით, ორი დღის წინ კიდევ ერთი შეტაკება ალიანსსა და თალიბების დაჯგუფებას შორის ჰილმენდის პროვინციაში მსხვერპლით დასრულდა. დაღუპულთა შორის არიან ბავშვებიც.

# ოლანდი: ევროზონის კრიზისი დასასრულს უახლოვდება



საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი მიიჩნევს, რომ ევროზონის კრიზისი დასასრულს უახლოვდება.

„რაც შეეხება ევროზონის კრიზისს ის დადასრულთან ახლოსაა, რადგანაც ჩვენ 28-29 ივლისის სამიტზე სწორი გადაწყვეტილებები მივიღეთ და ახლა საჭიროა, რომ ეს გადაწყვეტილებები სისრულეში მოვიყვანოთ. თუმცა მანამდე საბერძნეთში სიტუაცია უნდა დარეგულირდეს და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მისი ევროზონაში დარჩენა ვუზრუნველყოთ“, – აღნიშნა ფრანსუა ოლანდმა.

მისივე განმარტებით, ევროზონის პრობლემები 2012 წლის ბოლომდე უნდა გადაიჭრას.

თუმცა, დღეს ბრიუსელში ორდღიანი სამიტი იხსნება, სადაც ევროკავშირის წევრები ისევ ევროპის კრიზისიდან გამოსვლის გზებზე იმსჯელებენ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც დღეს იმსჯლებენ, ევროპის ბანკია, რომელიც ევროს გადარჩენაში დიდი როლი უნდა შეასრულოს.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მოსახლეობა და პროფკავშირები მასობრივ საპროტესტო აქციებს მართავენ საკუთარი ქვეყნის მთავრობების წინააღმდეგ, რომლებიც იძულებულები არიან ქვეყანაში მკაცრი ეკონომიკური რეფორმები გაატარონ, რათა ევროტრანშები მიიღონ.

ბრიუსელში დღეს მოუთმენლად ელოდებიან ევროკავშირის საბჭოს ხელმძღვანელის ჰერმან ვან რომპეის მოხსნებას, რომელიც ევროკავშირში ეკონომიური ინტეგრაციის გაძლიერების გეგმებს შეეხება.

ევროზონა, რომელიც მოიცავს ქვეყნებს, რომელთა ოფიციალურ ვალუტად ევრო ითვლება. ამ სახელმწიფოებს ევროს მონეტებისა და ბანკნოტების გამოშვების უფლება აქვთ. ამ ზონაში მონეტარულ პოლიტიკას ევროპის ცენტრალური ბანკი ატარებს.

2007 წლისთვის ევროზონაში შემდეგი ქვეყნები შედიოდა: ავსტრია, ბელგია, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, სლოვენია, პორტუგალია, ფინეთი, საფრანგეთი. შემდეგი ქვეყნები ევროკავშირის წევრები არ არიან, თუმცა ევროს მონეტების გამოშვების უფლება აქვთ: ვატიკანი, სან-მარინო, მონაკო. 2008 წლის 1 იანვარს ევროზონაში შევიდნენ კვიპროსი და მალტა. 2009 წლის 1 იანვარს ევროზონას შეუერთდა სლოვაკეთი, ხოლო 2011 წლის 1 იანვარს – ესტონეთი.

# რომნიმ რეიტინგით ობამას გაუსწრო



საერთაშორისო ორგანიზაცია „გელაპის“ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, მას რესპუბლიკელი მიტ რომნი მოიგებდა.

კვლევის მიხედვით, რომნის გამოკითხულთა 50 პროცენტი უჭერს მხარს, ხოლო დემოკრატ ბარაკ ობამას – 46 პროცენტი. ექსპერტები რომნის რეიტინგის ზრდას სატელევიზიო დებატებში სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით მის წარმატებულ გამოსვლას უკავშირებენ.

უილარდ მიტ რომნი (დ. 12 მარტი 1947) ამერიკელი ბიზნესმენი და პოლიტიკოსია. მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორი 2003-2007 წლებში. აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი 2012 წლის არჩევნებში რესპუბლიკური პარტიიდან. მიჩიგანის შტატის ყოფილი გუბერნატორის ჯორჯ რომნის ვაჟი. უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის წევრი (მორმონი). შეგახსენებთ, რომ აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები ნოემბრის თვეში გაიმართება.

# ნიუ-იორკში ტერორისტული აქტი აღკვეთეს

ნიუ-იორკში ფედერალურ სარეზერვო ბანკთან აფეთქებისა მოწყობის მცდელობაში ეჭვმიტანილი 21 წლის ბანგლადეშის მოქალაქე დააკავეს. კვაზი მოჰამედ რეზვანულ აჰსან ნაფისი აშშ-ში ტერორისტული აქტის მოსაწყობად ჩავიდა, იუწყება ფედერალური საგამოძიებო სამსახური.




ნაფისი დაკავებული იქნება სატვირთო ავტომობილის აფეთქების მცდელობისას, რომელშიც მისი ვარაუდით, ნახევარი ტონა ასაფეთქებელი ნივთიერებით იყო მოთავსებული.

ფედერალური საგამოძიებო სამსახური იუწყება, რომ დაკავებული არ წარმოადგენდა საფრთხეს, რადაგანაც ის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

ნაფისს წაუყენეს ბრალი „ალ-ქაიდას“ მატერიალური დახმარებით, მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების მცდელობაში.

გამოძიების მასალების მიხედვით დაკავებული აშშ-ში 2012 წლის იანვარში ჩავიდა და აფეთქების ორგანიოზებისთვის შესაბამისი კონტაქტების ძიებით იყო დაკავებული.

ერთ-ერთი ადამიანი, რომელსაც ის დაუკავშირდა, ფედერალური საგამოძიებო სამსახურის ინფორმატორი აღმოჩნდა, რის შემდეგაც მასზე დაწესდა მეთვალყურეობა.

ფედერალური საგამოძიებო სამსახურის აგენტმა მას 20 ტომარა მიჰყიდა, რომელშიც, დაკავებულის ვარაუდით 23-23 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება იყო.

„ალ-ქაიდას“ გააჩნია როგორც ლეგალური და ისე არალეგალური დაფინანსების წყაროები.

ლეგალური წყაროებია:
შემოწირულობები;
მოკლული ოსამა ბინ ლადენის ქონება;
არალეგალური წყაროები:
არაბ მილიონერთა საიდუმლო შემოწირულობები.

„ალ-ქაიდას“ საიდუმლოდ აფინანსებენ ისეთი სახელმწიფოები, როგორებიცაა სუდანი, პაკისტანი და ირანი.

სავარაუდოდ, „ალ-ქაიდას“ ქონება შეადგენს დაახლოებით ხუთ მილიარდ დოლარს. „ალ-ქაიდასათვის“ ტარაქტების ჩატარებისათვის საჭირო ფინასური საშუალებები რომ გადაეკეტა, აშშ-ის მთავრობამ მსოფლიოს ქვეყნებს მიმართა თხოვნით გაეყინათ ორგანიზაციის ლეგალური თუ არალეგალური საბანკო ანგარიშები.

# ევროკომისარს თამბაქოს ლობირებისთვის სკამი დაატოვებინეს

ევროკომისიის განცხადებით, ჯანდაცვისა და სამომხმარებლო პოლიტიკის კომისარმა ჯონ დალიმ თანამდებობა დატოვა. დალიმ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ანტიკორუფციული გამოძიების შედეგები გახდა ცნობილი.

სალეჭი თამბაქოს მწარმოებელმა შვეიცარიულმა კომპანია „სვედიშ მატჩმა“, 2012 წლის მაისში ევროკომისიას საჩივრის წერილით მიმართა და დახმარება სთხოვა. წერილში აღნიშნული იყო, რომ ერთ-ერთი მალტელი ბიზნესმენი, ევროკომისრის დახმარებით, კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის დაბლოკვას ცდილობდა ევროკავშირის ქვეყნებში.

ჯონ დალი, რომელიც რამდენიმე წლის წინ, მალტაში ფინანსთა და საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობდა, უარყოფს აღნიშნულ ბრალდებას, თუმცა პოსტი დატოვა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი რეპუტაცია დაიცვას. ჯანდაცვის ევროკომისარი აცხადებს, რომ გადადგომა ევროკომისიის თავკაცმა ჟოზე მანუელ ბაროზომ აიძულა.

ევროკომისრებს შორის ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც პოსტს ევროკომისარი აღნიშნული ბრალდებით ტოვებს.

# თბილისის განვითარების ფონდს დავით ავალიანი უხელმძღვანელებს

ძველი თბილისის გამგებელი დავით ავალიანი თბილისის განვითარების ფონდის თავმჯდომარედ დაინიშნა.

მერიის ინფორმაციით, ყველა პროექტი, რომელიც ფონდს ჰქონდა დაწყებული, აუცილებად დასრულდება.

ავალიანის განცხადებით, ბოლო დღეებში ამ ფონდის გაშემო გარკვეული ვნაბათაღელვა იყო.

„მინდა დავამშვიდო ყველა ოჯახი, რომელიც ქირით არის გაყვანილი, რომ ყველა საქმე, რომელიც ფონდს დაწყებული აქვს, აუცილებად დასრულდება. ჯერ დასრულდება დაწყებული პროექტები, ხოლო მომავალ წლებში რა და როგორ იქნება, დაიწყება თუ არა ახალი პროექტები, ამას ბიუჯეტის მიხედვით გადავწყვეტთ“ – განაცხადა მან. მისი თქმით, თანამშრომლების შემცირება არ იგეგმება და ისინი მუშაობას ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ.

დავით ავალიანმა თბილისის განვითარების ფონდის თავმჯდომარის პოსტზე გიორგი საბანაძე შეცვალა.

ნიუსპრესი

# მირზაანში ნიკალას გაიხსენებენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ნიკალას 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით უკვე დაწყებულია მირზაანში მდებარე მხატვრის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია. პროექტის მიხედვით გადაწყვეტილია, მხატვრის საცხოვრებელი სახლის სრული რესტავრაცია. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებისას მოხდება მხატვრის საცხოვრებელი გარემოს რეექსპონირება. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით უკვე დაგეგმილია ფოროსმანის ორი ნამუშევრის – „მწოლიარე ქართველი ქალის“ და „თამარ მეფის პორტრეტის“ რესტავრაცია, რომელიც შემოდგომაზე ფოროსმანის 150 წლის იუბილეზე გამოიფინება. მირზაანში ფიროსმანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია ყოველწლიურად, ეტაპობრივად ხორციელდება. 2009 წელს 17 წლიანი სიბნელის შემდეგ, მუზეუმში პირველად მოწესრიგდა ელექტროენერგიის პრობლემა, წყლისა და გაზის გაყვანილობა. მუზეუმი ახლიდან გადაიხურა და გასულ წელს მთლიანად განახლდა მუზეუმის საექსპოზიციო სივრცე. ამ სამუშაოების პარალელურად, წელსვე მუზეუმის ტერიტორიაზე დამთვალიერებლისთვის მოეწყობა სველი წერტილები და მოწესრიგდება ტურისტული ინფრასტრუქტურა. ჩატარებულ სამუშაოებს მირზაანში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლოზ რურუა ჯერ კიდევ ზაფხულში გაეცნო. კახეთში ოფიციალური ვიზიტისას რურუა შეხვდა მუზეუმის თანამშრომლებს და მათ საჩუქრად მუზეუმისთვის აუცილებელი ტექნიკა, სხვადასხვა სახის ინვენტარი და ავეჯი გადასცა.

ეკა ირემაშვილი




## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 2. სპირტიანი სასმელი; 3. ტერიტორიული ერთეული ზოგიერთ სახელმწიფოში; 5. რძის პროდუქტი; 6. სასტუმრო ავტოტურისტებისათვის; 9. სამხედრო ავიაციის ქვედანაყოფი; 10. ძველი გერმანული ტომი, რომელმაც მე-5 საუკუნეში გაძარცვა და სასტიკად დაარბია რომი; 11. საეკლესიო წესით ქორწინება; 14. საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყო; 16. სპორტული საფარიკაო იარაღი; 18. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი.

**თარაზულად**: 1. ჩვილი ბავშვის საწოლი; 4. სხეულთა მოძრაობის შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 7. ბუნებრივი ზონა აფრიკაში; 8. ქალაქი იმერეთში; 12. ჩეხური ავტომობილი; 13. ცხენის, აქლემის რძისაგან მომზადებული სასმელი; 15. დოსტოევსკის რომანი; 17. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში; 19. სახელმწიფო კავკასიაში; 20. მორიგეობა გემზე; 21. გულდა კალაძის ქანდაკება ბიჭვინთაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აღდგომა; 2. უბისა; 3. სამთავრო; 4. სნუკერი; 5. პოსეიდონი; 9. ტრიესი; 12. დანლოპი; 14. ჩაქურა; 15. ბასი; 17. ქანდა; 18. „უშბა“.

**თარაზულად:** 6. დღეობა; 7. სამანგიო; 8. იგუასუ; 10. ჟესტი; 11. კასკადიორი; 13. ეჩხაბერი; 16. დსალაქი; 19. შოკოლადი; 20. „მალვაზია“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მოლი; 2. ბრიჯი; 3. წვიმა; 5. ტეხურა; 6. ლაჟვარდი; 9. ულტიმატუმი; 10. „ჰართფილდი“; 11. იაკიტორია; 14. ობი; 16. კაბარე; 18. ბივა.

**თარაზულად:** 1. მუმბაი; 4. ნატამალი; 7. დიჟონი; 8. მორთული; 12. ატილა; 13. „პოპული“; 15. მთიები; 17. ეტა; 19. ბურგომისტრი; 20. ლიფტი; 21. საუნჯე.



ჩვენს საყვარელ
**თამარ ნინიძეს**
ვულოცავთ დაბადების დღეს!
ვუსურვებთ ჯანმრთელობას,
მედნიერებას, წარმატებას
ოჯახთან ერთად.
*სიყვარულით „ახალი თაობა“*

# გაეროს მშვიდობის ელჩი სირიაში საზავო ხელშეკრულებაზე მუშაობს

სიტუაცია სირიაში ყოველი დღით უარესდება, განაცხადა გაეროს მშვიდობის ელჩმა სირიაში, ლახდარ ბრაჰიმიმ.

სირიის სამთავრობო ძალები განაგრძობენ ქალაქზე საჰაერო თავდასხმების განხორციელებას. დამკვირვებლების განცხადებით ორშაბათს დაბომბვების შედეგად სულ მცირე 50 ადამიანი დაიღუპა. 20 თვიანი აჯანყების შედეგად კი დაღუპულთა საერთო რაოდენობამ უკვე 33 ათასს მიაღწია.



ადამიანებს გარდა ბრძოლებს მსხვერპლად კულტურული მემკვიდრეობაც ეწირება. ერთ ერთი მათგანი ალეპოს დიდი მეჩეთია, მერვე საუკუნის საოცრება, რომელსაც მთელ ისლამური სამყაროსათვის უდიდესი რელიგიური და კულტურული ღირებულება გააჩნია. დამომბვის შედეგად ის ამჟამად ძლიერადაა დაზიანებული.

ყოველივე ამის ფონზე გაეროს წარმომადგენელი ლახდარ ბრაჰიმი ცდილობს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას როგორმე ისლამური დღესასწაულ ელ-აიდის დადგომისას მიაღწიოს, რომელიც თვის ბოლო იმართება. ბრაჰიმი იმედოვნებს რომ დღესასწაულის შედეგად რეგიონში რამდენიმე დღით მშვიდობის ოაზისი შეიქმნება, რომელიც პოლიტიკურ პროცესების განვითარებას შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ეს არ არის მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმების მიღწევის პირველი მცდელობა. აპრილში ჩაშლილი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გამო ბრაჰიმის წინამორბედი, გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი კოფი ანანი გადადგა.

გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის განცხადებით კი, სირიის ტერიტორიაზე ასობით შეიარაღებული მებრძოლი იმყოფება, რომელთაც კონფლიქტის კიდევ უფრო გამწვავება შეუძლიათ.

კომისიის ხელმძღვანელის პაულო პინეიროს თქმით, ქვეყანაში „რადიკალი ისლამისტების ან ჯიჰადისტების ყოფნა" უფრო და უფრო საშიში ხდება. მისი თქმით, ქვეყანაში უცხოეთიდან შესული შეიარაღებული მებრძოლების რიცხვი იზრდება.

პინეიროს თქით, ეს ხალხი „არ იბრძვიან თავისუფლების ან დემოკრატიისათვის და მხოლოდ საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობენ".

ამ ფონზე, სირიაში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებაში გარდატეხა ხდება.

„როიტერის" ინფორმაციით, აჯანყებულთა რაზმებმა, რომლებიც მთელი სირიის ტერიტორიაზე ერთიმეორისგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და ბაშარ ასადის რეჟიმს ებრძოდნენ, გაერთიანება გადაწყვიტეს.

სააგენტოს განცხადებით, ეს აჯანყებულთა მთავარი მოკავშირეების თურქეთისა და საუდიის არაბეთის დამსახურებაა. „აჯანყებულთა გაერთიანებული რაზმები უკვე საკმაოდ დიდ და მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს ასადის რეჟიმის წინააღმდეგ",-წერს სააგენტო.

სირიაში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირების მსხვერპლთა რაოდენობამ 33 ათასს მიაღწია. ამის შესახებ გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ პოლიტიკურ საკითხებში ჯეფრი ფელტმანმა განაცხადა.

„სირიაში კონფლიქტი სულ უფრი ღრმავდება, მსხვერპლთა რაოდენობამ 33 ათასს მიაღწია", – განახცხადა ფელტმანმა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელიც ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებას მიეძღვნა.

მისივე თქმით, არაბულ ქვეყანაში შექმნილი ვითარება მეტყველებს, რომ კრიზისის მოგვარება „სამხედრო გზით" შეუძლებელია.

მან ასევე აღნიშნა, რომ საფრთხე კიდევ უფრო იზრდება, რომელიც მნიშვნელოვნად ემუქრება რეგიონს.

ფელტმანმა გაიხსენა სირიის მხრიდან თურქეთის ტერიტორიის დაბომბვის ფაქტები, ასევე ლიბანის საზღვარზე არსებული დაძაბული ვითარება.

გასულ კვირას დამასკომ უარყო გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის წინადადება ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ. სირიამ თავის მხრივ მოუწოდა გაეროს გააგზავნოს თავისი ემისრები საუდის არაბეთში, ყარატში და თურქეთში – „ქვეყნებში საიდანაც ხდება სირიის ოპოზიციის მხარდაჭერა და მიიღოს გარანტიები, რომ ამბოხებულები შეწყვეტენ ძალადობას". ამის შემდეგ სირიის ხელისუფლება დაუბრუნდება მოლაპარაკებების მაგიდას.

შეგახსენებთ, რომ სირიაში დაპირისპირება გასული წლის მატრში დაიწყო.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ალიოშა ჩიჩუას ხსოვნას!

ერთი წელია, დაგვტოვე, ჩვენო საყვარელო, ბუხუხა, ჰუმანურო ალიოშა ბიძია და გადაინაცვლე სამუდამო სასუფეველში!

ნათელში გამყოფოს უფალმა!

ყველას გვენატრები!

*კუსუნა, გოჩა მზარელუები*

---

რეზო; ციცინო, ბესო და ხათუნა ცანავები, დიანა და ლამზირა კარტოზიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ უდროოდ გარდაიცვალა ახალგაზრდა, ყველასათვის საამაყო და საყვარელი ვაჟკაცი

**ომარ სხულუხია**

და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# სერგეი უდალცოვს 10 წელი ციხე ემუქრება




რუსი ოპოზციონერების სერგეი უდალცოვის, ლეონიდ რაზვოზჟაევის, კონსტანტინე ლებედევისა და კიდევ რამდენიმე პირის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებით „მასობრივი არეულობების ორგანიზების მზადება". ამ ბრალდების წასაყენებლად საკმარისი აღმოჩნდა ფილმ „პროტესტის ანატომია 2"-ში გასული კადრები, სადაც უდალცოვი და კიდევ რამდენიმე პირი საქართველოს მოქალაქე „გიორგი ვასილევიჩთან"-საქართველოს პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძესთან ერთად, რუსეთის რამდენიმე ქალაქში არეულობების მოწყობას გეგმავდნენ და მის დაფინანსებაზე მსჯელობდნენ.

რუსი იურისტები და პოლიტიკოსები ფილმის გასვლისთანავე ითხოვდნენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, მხოლოდ მსჯელობდნენ, რომელი მუხლი წაეყენებინათ. რუსეთის პროკურატურის გადაწყვეტილებით, საქმე 212-ე მუხლით აღიძრა, რომელიც „მასობრივი არეულობების ორგანიზების მზადებას" ითვალისწინებს.

რამდენიმე დღის წინ რუსეთის პროკურატურამ გამოაცხადა, რომ სერგეი უდალცოვმა ოფიციალურად დაადასტურა საქართველოს მოქალაქე „გიორგი ვასილიევიჩთან"-გივი თარგამაძესთან შეხვედრის ფაქტი, თუმცა რუსეთის ტერიტორიაზე რაიმე არეულობების მოწყობა სასტიკად უარყო.

რუსულ საგამოძიებო კომიტეტში კი აღნიშნავენ, რომ დოკუმენტური ფილმის შესწავლისას მონტაჟის ნიშნები ვიდეოფირში გამოვლენილი არ იქნა.

„დადგენილია, რომ ხმა, მათ შორის რომელიც ფარული კამერით გადაღებულ სიუჟეტებში ისმის სწორედ უდალცოვს ეკუთვნის. ხოლო შეხვედრა, რომლის ფრაგმენტებიც ფილმშია ნაჩვენები 2012 წლის ივნისის მეორე ნახევარში, მინსკშია გამართული. შეხვედრაში მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე, მოლდოვაში საქართველოს კონსული მიხეილ ინაშვილი და ასევე მთი სამი თანაშემწე. რუსული მხრიდან ამ შეხვედრაში „მემარცხენე ფრონტის" ლიდერი უდალცოვი, მისი დამხმარე ლებედევი და დუმის დეპუტატის ილია პონომარიოვის თანაშემწე რაზვოჟაევი მონაწილეობდნენ", – ნათქვამია საგამოძიებო კომიტეტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ, რომლის მიხედვითაც უდალცოვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა მის ბინაში ჩხრეკა განხორციელდა.

ამას გარდა, უდალცოვის ადვოკატის ვიოლეტა ვოლკოვას განცხადებით, ჩხრეკა ასევე მიდის სერგეი უდალცოვის მშობლების ბინაში. „მასთან კავშირი არ მაქვს, არავინ ელოდა, რომ ჩხრეკას დაიწყებდნენ", – აცხადებს ადვოკატი.

შეგახსენებთ, რომ ტელეკომპანია „ენ-ტევე-მ" „მრავალრიცხოვან მაყურებელთან თხოვნით" ფილმ „პროტესტის ანატომიის" გაგრძელება გაუშვა ეთერში, რომელიც რუსეთის ოპოზიციური მოძრაობის ლიდერებს ეძღვნება.

„პროტესტის ანატომიის" მეორე ნაწილი ოპოზიციური „მემარცხენე ფრონტის" ლიდერს სერგეი უდალცოვს ეძღვნება: პროგრამაში იგი დადანაშაულებულია დაფინანსებისა და ინსტრუქციების მიღებაში ქართველი პოლიტიკოსის, გივი თარგამაძის მხრიდან, რევოლუციის მომზადების საკითხში. ფირი მორიგი „მილიონიანი მარშის" კადრებით იწყება, რომელიც მოსკოვში მიმდინარე წლის 15 სექტემბერს გაიმართა. ამის შემდეგ უკვე ნაჩვენებია სერგეი უდალცოვისა და მისი მომხრეების კონსტანტინე ლებედევის, იური აიმოლედინოვისა და ლეონიდ რაზვოჟაევის საუბარი ქართველ დეპუტატთან გივი თარგამაძესთან, მიხეილ სააკაშვილის ახლო თანამებრძოლთან. თარგამაძეს „ენ-ტე-ვე" ახასიათებს ადამიანს, რომელსაც აქვს „რეალური გამოცდილება გადატრიალების მოწყობისა" საქართველოსა და უკრაინაში. ასევე ნახსენებია მისი შესაძლო ორგანიზატორობა ბელორუსში მასობრივ არეულობებში 2-10 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ.

ტელეკომპანიის მონაცემებით, ეს საუბარი ზაფხულის დასაწყისში გაიმართა, თავდაპირველად საუბარი ფინანსებს ეხება. თარგამაძე აცხადებს, რომ მას აქვს „მოსკოვის ბანკის" ყოფილი პრეზიდენტის ალექსეი ბოროდინის მხარდაჭერა, რომელიც ამჟამად ლონდონში იმალება.

თარგამაძე ფილმში რუსეთში გადატრიალებას 200 მილიონ დოლარად აფასებს – ჰყვება კადრსმიღმა ხმა და აღნიშნავს, რომ ბოროდინმა ამ თანხის შოვნის პირობა დადო.

რუსული მედიის ინფორმაციით, ფილმში თარგამაძეს არც ჩრდილოეთ კავკასიის თემისათვის აუვლია გვერდი. იგი საუბრობს თავის კავშირებზე ვიღაც ჩეჩნებთან, რომლებთანაც ერთად „კარგი პროვოკაციის" მოწყობა შეიძლება. ფილმის ავტორები ასევე აცხადებენ, რომ უდალცოვი თარგამაძისაგან ყოველთვიურად 35 ათას დოლარს იღებს.

საუბარში „მემარცხენე ფრონტის" აქტივისტები ოპოზიციური აქტიურობის რამდენიმე ვარიანტს განიხილავენ. კერძოდ, თარგამაძე კალინინგრადისა და ვლადივოსტოკის ხელში ჩაგდების ავატიურულ გეგმაზე საუბრობს, იმისათვის რათა ხელისუფლება ერთდროულად ორივე ფრონტის საომარ მდგომარეობაში ჩადგეს.

# კუბელებს საზღვარგარეთ წასვლის ნება დართეს

„გაცეტა დე კუბას" ინფორმაციით, კუბის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, მათი თანხმობის გარეშე შეძლონ მოქალაქეებამ ქვეყნის დატოვება. ქვეყნის დატოვება კუბელებს იმ შემთხვევაში შეეძლებათ თუ პასპორტი და ვიზა გააჩნიათ. კიდევ ერთი ნიუანსი-საზღვარგარეთ ვიზიტი 11 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უკან, ქვეყანაში ჩამოსვლა და საელჩოში საბუთების წარდგენა მოუწევთ. საემიგრაციო კანონმდებლობაში შეტანილი ახალი ცვლილებები ძალაში 2013 წლის 14 იანვრიდან შევა.

კუბის მთავრობას ხშირად ადანაშაულებენ ადამიანის უფლებების დარღვევის ისეთ ფაქტებზე როგორიცაა: წამება, უკანონო პატიმრობა, უსამართლო სასამართლო. „ჰუმან რაითს ვოჩი" აცხადებს, რომ მთავრობას ებრძვის განსხვავებულ აზრს და მუდმივად ირღვევა ისეთი უფლებები როგორიცაა: აზრის თავისუფალი გამოხატვა, გაერთიანებების შექმნა, შეკრებების მოწყობა, პირადი ინფორმაციის დაცვა და გადაადგილების თავისუფლება.

2008 წლის მონაცემებით, (სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიხედვით, მათ შორის ჰუმან რაითს ვოჩისაც) სასჯელმისჯილი ჟურნალისტების რაოდენობით კუბა მსოფლიოში ჩინეთის შემდეგ მეორეა. საკუთრების შეზღუდვის გამო კუბაში კომპიუტერის ფლობის მაჩვენებელი მსოფლიო მასშტაბით ყველაზე დაბალია. ინტერნეტის ხმარების უფლება მხოლოდ შეზღუდულ ადგილებშია და ისიც კონტროლირდება.

აქამდე, მთავრობის ოფიციალური ნებართვის გარეშე კუბელებს არ ჰქონდათ ქვეყნის დატოვების ან დაბრუნების უფლება.

# შოტლანდია ინგლისისგან გამოყოფაზე რეფერენდუმს ჩაატარებს

2014 წელს შოტლანდია გადაწყვეტს დარჩეს თუ არა ბრიტანეთის შემადგენლობაში. დღეს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტმა დევიდ კემერონმა და შოტლანდიის რეგიონალური მთავრობის მინისტრმა ალექს სელმონდმა შეთანხმების დოკუმენტს მოაწერეს ხელი.



ერთადერთი შეკითხვა, რომელსაც შოტლანდიელებს რეფერენდუმზე დაუსვამენ, შემდეგნაირად გაჟღერდება: გნებავთ თუ არა, რომ შოტლანდია ინგლისთან დარჩეს კავშირში, რომელიც 305 წელს ითვლის?

მიუხედავად იმის, რომ ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტი წინააღმდეგია შოტლანდიის კავშირიდან გასვლის, მათი განცხადებით, ისინი პატივს სცემენ შოტლანდიელების გადაწყვეტილებას.

უკანასკნელი გამოკითხვების თანახმად, შოტლანდიელთა მხოლოდ 28%-ს სურს დამოუკიდებლობა, 53% კი ცვლილებებისთვის მზად არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთში მოქალაქეებს ხმის უფლება 18 წლიდან აქვთ, ამ შემთხვევაში ხმის მიცემის უფლება 16 წლის ასაკის პირებსაც იქნებათ.

შოტლანდია ერთ დროს დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო თავისი საკუთარი მთავრობით, ახლა კი იმ ოთხ ერს შორისაა, რომელიც გაერთიანებულ სამეფოს აყალიბებს ერთ სახელმწიფოდ. 1603 წელს შოტლანდიის მეფე ჯეიმზ მეოთხე ინგლისის მეფეც გახდა და ჯეიმზ პირველი ეწოდა. 1707 წელს შოტლანდიის პარლამენტი ინგლისის პარლამენტს შეუერთდა და დიდი ბრიტანეთის პარლამენტი გახდა. 1801 წელს კი დიდი ბრიტანეთი ირლანდიასთან გაერთიანდა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო წარმოიქმნა.

თუმცალა შოტლანდია დამოუკიებელი სახელმწიფო არ არის, ისტორიის მანძილზე მან საკუთარი კანონმდებლობა, სკოლა და უნიკალური კულტურა შეინარჩუნა. 1999 წლიდან შოტლანდიას საკუთარი პარლამენტი აქვს. ამის მიუხედავად, ძირითადი საკითხები მაინც ვესტმინსტერიდან კონტროლდება. შოტლანდიის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს დღესდღეობით ისევ დამოუკიდებლობა სურს.

*რუბრიკა მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

**პარასკევი 19 ოქტომბერი**

**საზოგადოებრივი არხი 7.30** „ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.40 მოამბე 10.30 „დილის საუბარი" 11.00 „სამოთხის ვაშლები" 12.45 „პირადი ექიმი" 13.30 „დღეს ორის ნახევარზე" 15.00 სერ. „დეტექტივი" 17.00 დოკ. ფ. 18.00 სერ. „პეპე და მეგობრები" 19.05 სერ. „ცოდვა და სირცხვილი" 21.00 სერ. „დეტექტივი" 22.00 მხ.ფ. „შეუსრულებელი მისია-2" 00.00 „წითელი ზონა" 01.00 მხ.ფ. „მხარეთა აზრი" 03.00 მხ.ფ. „სამახსოვრო დღიური 05.10 მხ.ფ.„საღვრებს მიღმა„

**მეორე არხი 08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 ბრიფინგის დრო 10.00 დოკ.ფ. „უძველესი აღმოჩენები„. 9 14.00 დოკ.ფ. „ძველი საბერძნეთის გმირები – იაზონი და არგონავთები„. 16.00 დოკ.ფ. „უძველესი აღმოჩენები„. 10 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 01.00 მხ.ფ.„ძმა, მზე და მთვარე"

**იმედი 08.00, 09.00, 10.00,** 11.00, 12.00,13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00, 00.40, 05.00 ქრონიკა. 08.25 ან.ფ. „ტიმონი და პუმბა" 09.25 სერ.„დათარსული კვირა" 10.10 სერ. „ილბლიანი მოახლე" 11.45 სერ. „უკვდავი ამბავი" 13.10 სერ „გაქცევა" 14.45, 15.10 სერ. „თვალი არ მომაცილო" 16.10 სერ. „მოჯადოებული" 17.45 სერ. „მეწამული ცა" 18.40 სერ. „სახიფათო ვნება" 21.00 სერ. „მემკვიდრეები" 22.00 სერ. „შერკინება" 1 სერ. 23.00 მხ.ფ. „რემბო-4" 01.05 მხ.ფ. „16 კვარტალი" (მ. დეფი) 02.45 მხ.ფ. „დედის ნებიერა" 04.10 მხ.ფ „გამოსასყიდი" (პ. ბროსნანი) 06.00 მუსიკა.

**რუსთავი 2 07.30** დილამშვიდობისა საქართველო. 10.00 სერ.„ქალის მსხვერპლი". 11.00 სერ. „ეჟვი და სიყვარული". 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები. 13.00 შუა დღე. 15.30 პროფილი. 18.45 სერ. „მგზნებარე გული" 19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია" 21.50 ეროვნული ლატარეა. 22.00 ვანოს შოუ 23.00 სერ. „ექიმი ჰაუსი" 00.30 MTV PUNK'D 01.00 პატრული 01.30 მხ.ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი.

**მზე 08.00** ან. ფ. „საოცარი მითები და ლეგენდები„. 08.55 სერ. „მისი სულის მუსიკა" 09.45, 12.00, 15.00, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფ. 12.15 სერ. „ლარედოს ძუჩები" 13.00 მხ.ფ. 15.15 მხ.ფ. 17.10 სერ. „ვერონიკა მარსი" 18.00 მხ. ფ. 20.00 სერ. „ტყუპები" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 „105 წუთი" ლაშა დვალიშვილთან ერთად 23.50 მხ.ფ. 00.55 მხ.ფ.

**აჭარა 08.30, 11.30, 14.30,** 17.30, 20.30, 22.30, 01.55 „დრო" 09.00 მუსიკა 09.30 დოკ. ფ. 10.30 დოკ. ფ. 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერიალი „საგა" 13.00 „იმპულსი" 13.30 სერიალი 15.15 დოკ. ფ. 16.00 დოკ. ფ. 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფ. 19.35 სერიალი 23.00 მხ. ფ. „მექანიკოსი" 00.30 მხ. ფ. „ჩვენს მერე წარღვნაც ყოფილა"

**ერთსულოვნება 08.30** განთიადი 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი. 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.15 მხ. ფილმი „მზე შემოდგომისა" . 13.35 კონცერტი — შვეიცარიის ანდრია ბოჩელი. 15.00, 18.53, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10, 00.35 განთიადის სტუმარი 15.35 დოკ. ფილმი „მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად„. 16.00 დები ტრევისი საოცარი სახლი. 16.25 დოკ. ფილმი „ველური ბუნება" 16.50 მხ. ფილმი „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება„. 17.55 შიდგზის ლოცვა. 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. 18.20 დიდ ხარ შენ უფალო. 19.20 მხ. ფილმი „საჰაერო ხიდი„. 21.30 მოგზაურობა სამშობლოში. 22.30 ჩვენი ფონდი. 22.45 „თქვენი" - წმინდა თომა მოციქული 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჟურნალისტის დღიური 01.00 კვირიაკე.

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**19 ოქტომბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6590 |
| ევრო | 2,1768 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5779 |
| რუსული რუბლი | 0,0512 |

**ამინდის პროგნოზი 19 ოქტომბრისთვის**

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 24-27, ღამით — 10-12

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 22-24, ღამით — 14-16

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 20-22, ღამით — 6-8




ეროვნული ბიბლიოთეკა


# 15 ოქტომბრიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ ოთხტომეულის პირველი ტომი

# 29 ოქტომბრიდან

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“ ოთხტომეულის მე-2 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად - 8 ლარი

# 22 ოქტომბრიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

რჩეული ქართული ზღაპრები ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი


## მირზაანში ნიკალას გაიხსენებენ



19 ოქტომბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანში, მრგვალ მაგიდასთან ნიკო ფიროსმანის შემოქმედების გულშემატკივრები შეიკრიბებიან და სამოვარის თანხლებით გენიალურ ქართველ მხატვარს გაიხსენებენ. როგორც ქიზიყი.გე იუწყება, ეს სიახლე საზოგადოებას ნიკალას სახელმწიფო მუზეუმის მმართველმა ნელი გობეჯიშვილმა გააცნო.

ღონისძიება სახელწოდებით „შეხვედრა ფიროსმანთან“ „საქართველო-გერმანიის საზოგადოების“ ორგანიზებით უკვე მეოთხედ ტარდება. სპეციალურად ამ დღისთვის სოფელ მირზაანში 30-მდე უცხოელი სტუმარი ჩავა.

„საქართველო-გერმანიის საზოგადოების“ თავმჯდომარე გოჩა ღულელაურის თქმით:

– ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ 1916 წელს ნიკალამ თქვა „შევიკრიბოთ მრგვალ მაგიდასთან, ვსვათ ჩაი და ვისაუბროთ ხელოვნებაზეო“. სწორედ ამიტომ, ფიროსმანის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ხელოვანი ხალხი, მათ შორის უცხოელი სტუმრები ვგეგმავთ შევიკრიბოთ და სამოვარის თანხლებით, ვისაუბროთ ხელოვნებაზე. სტუმრებს ველოდებით გერმანიიდან, შვედეთიდან, ამერიკასა და იტალიიდან. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეს ხელოვანი ადამიანები საკუთარი ხარჯებით ჩამოდიან, რათა ფიროსმანს და მის შემოქმედებას პატივი მიაგონ და დააფასონ.

ღონისძიება, რომელიც მირზაანში შეკრებას და სამოვარის თანხლებით ხელოვნებაზე საუბარს გულისხმობს, 2006 წლიდან ორ წელიწადში ერთხელ იმართება. წელს ნიკალას საიუბილეო წელია – მხატვრის დაბადებიდან 150 წელი სრულდება, ამიტომაც ქართული საზოგადოება ამ თარიღის აღნიშვნას სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით გეგმავს.

ნიკალას თბილისის სახლ-მუზეუმში უკვე გაიმართა ექსპოზიცია, რომელზეც ფიროსმანის მიერ თბილისის თემაზე შექმნილი ნამუშევრები გამოიფინა. ნიკალას გვერდით გამოფენის ორგანიზატორებმა დიმიტრი ერმაკოვის მიერ ფოტოობიექტივზე აღბეჭდილი მაშინდელი თბილისის უბნებიც გამოფინეს.

20 ოქტომბერს კი „საქართველო-გერმანიის საზოგადოების“ ორგანიზებით, თბილისში ისტორიის მუზეუმში „ქარვასლა“ გაიმართება გამოფენა „ფიროსმანი და თანამედროვე ხელოვნება“. გამოფენა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყობა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## მამუკა ხაბარელი პირველი კანდიდატია



როგორც ცნობილია, საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში არჩევნები რამდენიმე დღის წინ უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ვითარების გამო 26 ნოემბრისთვის გადაიდო. ცხადია, დაიწყო კანდიდატთა განცხადების წარდგენის ვადა და უკვე ცნობილია პირველი კანდიდატის ვინაობა. ოლიმპიური ჩემპიონისა და საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, შოთა ხაბარელის ვაჟმა, მამუკა ხაბარელმა, ფედერაციაში განაცხადი უკვე ოფიციალურად შეიტანა.

მამუკა ხაბარელი საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში 2007-2009 წლებში აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა, ვიდრე ნაკრების ყოფილ თავკაცზე განაწყენებულმა მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ეს თანამდებობა საერთოდ არ გააუქმა.

ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნებამდე, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტობის უმთავრეს კანდიდატად შიდა წრეებში ცეზარ ჩოჩელი სახელდებოდა, მაგრამ ახლა მასზე არავინ საუბრობს.

თუმცა, ყველა მსურველს ჯერ კიდევ აქვს დრო – პრეზიდენტობის მსურველთა განაცხადების წარდგენის ვადა კი 19 ნოემბერს შეწყდება.

მ. ჟ

## ასტროპროგნოზი 19 ოქტომბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **ტყუპები** – მხიარულ ხასიათზე ხართ, ასე განაგრძეთ. **კირჩხიბი** – თქვენს ცხოვრებაში დიდი სიახლეა. **ლომი** – ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – ფული გაქვთ, მაგრამ მთლიანად არ დახარჯოთ. **მორიელი** – შემოსავლის ახალი წყარო გამოჩნდება, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმუშავეთ. **თხის რქა** – იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, სწორედ რომ დროულია. **მერწყული** – ყურადღების ცენტრში ხართ და ეს გსიამოვნებთ. **თევზები** – გზიდან ახლობელი ჩამოდის, მისი შემოთავაზებსბა საინტერესო აღმოჩნდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. საყოველთაო ლოცვა დიდი რელიგიური დღესასწაულის დროს; 2. ჯიშის გასაუმჯობესებლად შერჩეული ცხოველის ან მცენარის საუკეთესო ეგზემპლარი; 3. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 4. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 5. სახელმწიფო რელიგია იაპონიაში; 9. ჩეხი დრამატურგი, მწერალი, ყოფილი პრეზიდენტი; 12. ვერცხლის წყლის ქართული სახელწოდება; 14. შტატი ბრაზილიაში; 15. მდინარე კახეთში; 17. ფუტკრის მიერ გამომუშავებული მოყვითალო ფერის ნივთიერება; 18. ცელქი, მოუსვენარი ბავშვი.

**თარაზულად**: 6. დაქირავებული კავალერი; 7. რაიმეს ნაირსახეობა, სახეცვლილება; 8. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე თიხა; 10. წყლის საქაჩი მოწყობილობა; 11. წმინდანად შერაცხული ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 13. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 16. დამოუკიდებელ ფერმერთა დასახლება ისრაელში; 19. ციხე-სიმაგრე თბილისში; 20. ულელტეხილი კავკასიონზე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## „ზესტაფონმა“ სერბი ნახევარმცველი დაიმატა




საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ ვებგვერდის ცნობით, გუნდს კიდევ ერთი ფეხბურთელი შეუერთდა – 22 წლის იგორ იელიჩი. სერბი ნახევარმცველი, რომელიც ბოლოს სერბეთის ჩემპიონატის უმაღლესი დივიზიონის ოფკ-ში ასპარეზობდა, ამიერიდან იმერული კლუბის ღირსებას დაიცავს.

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონთან“ ხელშეკრულების გაფორმებამდე ფეხბურთელს შემდეგ საფეხბურთო კლუბებში უთამაშია: „სინდელიჩი“ (ბელგრადი) – 2007-08, „ვოზდოვაცი“ (ბელგრადი) – 2008-10, „მლადოსტი“ (აპატინი) – 2010, ოფკ (ბელგრადი) – 2010-12. მიმდინარე სეზონში იელიჩმა ერთი შეხვედრა „ნოვი პაზარის“ შემადგენლობაშიც ჩაატარა, თუმცა ამ კლუბის და ფეხბურთელის გზები ერთმანეთს მალევე გაეყარა.

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონსა“ და იგორ იელიჩს შორის გაფორმებული კონტრაქტი ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრამდე, თუმცა მასში გათვალისწინებულია თანამშრომლობის სამი წლით გახანგრძლივების პერსპექტივაც.

იელიჩი „ზესტაფონის“ ღირსებას 77-ნომრიანი მაისურით დაიცავს.

მ. ჟ